



საქართველოს
სასამართლო გუზაგი
GEORGIAN COURT WATCH

რატომ არის სასამართლო განთავის მნიშვნელოვანი

საქართველოს სასამართლოს გუშაგი



საქართველოს
სასამართლოს გუშაგი
GEORGIAN COURT WATCH

რატომ არის სასამართლო შენთვის მნიშვნელოვანი

პუბლიკაცია გამოიცა ევროპის ფონდის დაფინანსებით, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. პუბლიკაცია არ გამოხატავს ევროპის ფონდის და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.



MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

DANIDA | INTERNATIONAL
DEVELOPMENT COOPERATION

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს სასამართლოს გუშაგის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ლუბლიანას ქ. N 13ბ, 0159 თბილისი, საქართველო

info@courtwatch.ge / 032 219 70 04

www.courtwatch.ge

© 2023, საქართველოს სასამართლოს გუშაგი

შინაარსი:

მოსამართლე - თავისუფლების თუ ძალაუფლების მსახური?.....	2
სასამართლოს ნდობა და მისი ხელმისაწვდომობა	7
იუსტიციის უმაღლესი საბჭო - სისტემის წარმომადგენელი?.....	11
უარი საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებაზე	16
სტამბოლის კონვენციის სტანდარტები ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენებში	19
რისთვის (არ) ისჯებიან ქართველი მოსამართლეები – სადისციპლინო კოლეგიის პრაქტიკა 2012 წლიდან დღემდე	26
რეალობა, რომელიც ბრალდების შესახებ დადგენილებას გამამტყუნებელ განაჩენს უტოლებს.....	36
სასამართლო - ეკონომიკის ფარული მტერი თუ მეგობარი?!	39

მოსამართლე - თავისუფლების თუ ძალაუფლების მსახური?

ქეთევან ერემაძე



სასამართლო უნდა იყოს საზოგადოების განვითარებისა და გამოწვევების ადეკვატურად ძირითადი უფლებების პროგრესული გააზრების გზამკვლევი, რომელიც ადამიანებისთვის მუდმივად შექმნის შესაძლებლობებს თავისუფლებისა და ბედნიერების ძიების გზაზე. ამ თვალსაზრისით, თითოეულ მოსამართლეს აქვს აბსოლუტურად შეუცვლელი, უნიკალური როლი. მათ თანაბრად აქვთ მინდობილი იშვიათი შესაძლებლობა, დაიცვან ყველაზე ძვირფასი – თავისუფლება (ადამიანის უფლებები და თავისუფლებები); ეკისრებათ უზარმაზარი პასუხისმგებლობა, ყველა საქმეზე სამართლიანი მართლმსაჯულების; ამასთან აქვთ პატივი, „სამართლიანი სამართალი ქმნან“ სახელმწიფოს სახელით. როგორ შეიძლება, მან, ვინც მოსამართლის მანტიას მოირგებს, ეს სწორად ვერ გაიგოს, სათანადოდ ვერ დააფასოს, უპასუხისმგებლოდ გაფლანგოს ან რაიმეზე გაცვალოს?

მოსამართლე თითოეულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი კაზუსის სწორად გადაწყვეტის ამოცანის წინაშე არ დგას. მის მიერ დაწერილ თითოეულ წინადადებას, ფრაზას, სიტყვას შეუძლია, მნიშვნელოვნად, საბედისწეროდაც კი შეცვალოს ადამიანების ცხოვრება, მეტიც, ზოგჯერ საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ტენდენციები. ამიტომ მოსამართლის გადაწყვეტილება ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ გამართულად შედგენილი იურიდიული დოკუმენტი. შესაბამისად, მან უნდა შეძლოს, ეს ზოგჯერ სუნთქვის შემკვრელი, შემაშინებლად დიდი პასუხისმგებლობა აქციოს შესაძლებლობად, გადადგას გაბედული ნაბიჯები ადამიანის უფლებების დასაცავად და ყველა გამოწვევა ამ რთულ, მაგრამ უდავოდ ძალზე საინტერესო გზაზე, მიიღოს როგორც შანსი საკუთარი თავის და სამართლის განვითარებისთვის.

თავისუფლების სამსახურში თითოეული მოსამართლის ძალისხმევა საშურია და თანაბრად ღირებული როგორც საქმის ერთპიროვნულად, ისე სხვა მოსამართლეებთან

ერთად კოლეგიურად განხილვა-გადაწყვეტის პროცესში, თუმცა იმის მიხედვით, რამდენად სწორად ესმის მას თავისი როლი და ძალისხმევის ფასი, მისმა ხმამ/პოზიციამ ამ პროცესში შეიძლება შექმნას შესაძლებლობა ან ჩიხი.

მოსამართლის ინდივიდუალური როლის სწორად გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს რეალობაში, როდესაც სასამართლო დგას გზაგასაყარზე. წლების განმავლობაში პოლიტიკური ხელისუფლებისა და სასამართლოს მესვეურთა ხშირად ურთიერთკოორდინირებული ძალისხმევით, ქართული მართლმსაჯულება ქართული დემოკრატიისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ იქცა.

საკანონმდებლო რეფორმების რამდენიმე ტალღის შედეგად უზრუნველყოფილ იქნა სწორედ იმ მოსამართლეების (მათი აბსოლუტური უმრავლესობის) უვადოდ განწესება ან/და დაწინაურება, რომლებმაც სასამართლო ხელისუფლებას ყველაზე დიდი რეპუტაციული ზიანი მიაყენეს. ხელისუფლების რეალური ზრახვების ყველაზე მკაფიო ლუსტრაცია, ალბათ, მაინც მოხდა 2019-20 წლებში, როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესდნენ პირები, რომლებმაც საზოგადოებას თავი დაამახსოვრეს მხოლოდ ხელისუფლების მამებელი გადაწყვეტილებებით, მეტიც, ისეთებიც, რომლებმაც მინიმალურადაც ვერ დააკმაყოფილეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის, არ ჰქონდათ სათანადო იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

კიდევ უფრო საგანგაშოა, რომ თავად მოსამართლეები ვერ გრძნობენ სისტემის შიგნიდან გაჯანსაღების რეალურ აუცილებლობას, ვერ ხედავენ თავიანთ თავს საზოგადოების თვალთ.

დასანანია, რომ სასამართლო ხელისუფლების „დამოუკიდებელი მოსამართლეებით“ დაკომპლექტებაში სხვადასხვა დროს წვლილი საკონსტიტუციო სასამართლომაც შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო, სულ მცირე, ხელი შეეშალა ამ პროცესისთვის და მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის გაეხსნა კარი, მან არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, ვერ გაიაზრა თავისი კონსტიტუციური ვალდებულება. ე.წ. „მოსამართლეების საქმეებზე“ გასაჩივრებული იყო არასათანადო პროცედურებით მოსამართლეთა თანამდებობებზე განწესება, რაც საფრთხეს უქმნიდა სასამართლოს დამოუკიდებლობას და საბოლოო ჯამში, ქვეყანაში სამართლიანი მართლმსაჯულების პერსპექტივას. საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ სადავო ნორმების შეუჩერებლობით შექმნა სასამართლო კორპუსის არაჯანსაღი პროცედურით დაკომპლექტების შეუფერხებლად გაგრძელების შესაძლებლობა, ხოლო შემდეგ, ერთ შემთხვევაში, საქმის გადაწყვეტის მიზანმიმართული გაჭიანურებით (ელოდებოდა რა კანონმდებლის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას, რათა მათზე დაყრდნობით, სამართლებრივად აბსოლუტურად არასწორად, გამოეტანა გადაწყვეტილება სადავო ნორმების კონსტიტუციურობის სასარგებლოდ), მეორე საქმეზე კი მის მიერვე დადგენილი სტანდარტების უგულებელყოფით მნიშვნელოვნად დააზარალა მთელი ეს პროცესი.

გასაკვირიც არ არის - სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე თავად უნდა იყოს დამოუკიდებელი.

სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის დროზე (2016 წელს) თავისი დამოუკიდებლობაც არ დაიცვა მოსამართლეთა ნაწილის ძალისხმევით, რომლებმაც პოლიტიკურ ხელისუფლებასთან მჭიდრო კოორდინაციით, პროფესიული ღირსება და ინსტიტუტის დამოუკიდებლობა პირად კეთილდღეობასა და კონკრეტულ თანამდებობებზე (საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობაზე, მოადგილეობაზე, სხვა ადმინისტრაციულ პოზიციაზე, ასევე, საერთო სასამართლოების სისტემაში უვადო მოსამართლეობასა და უმაღლეს თანამდებობებზე) „გადაცვალეს“.

კერძოდ, 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში დრამატული ცვლილებების პაკეტი. ე.წ. „რეფორმის“ მიზნად დასახელდა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და საქმიანობის მეტი ეფექტიანობის უზრუნველყოფა, თუმცა ცვლილებების ძირითადი შინაარსი უტყუარად მიუთითებდა საპირისპიროზე – სასამართლოზე პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობის დაკანონებასა და მისი ქმედითობისთვის საფრთხის შექმნის გარდაუვალობაზე. ამ თვალსაზრისით, საკმარისია ყურადღების გამახვილება მხოლოდ რამდენიმე დებულებაზე: ცვლილებების შედეგად გაიზარდა საქმის განხილვისა და კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისთვის საჭირო კვორუმი (პლენუმი უფლებამოსილი იყო, საქმე არსებითად განეხილა და მიეღო გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას დაესწრებოდა 9-დან 7 მოსამართლე, ნაცვლად 6 მოსამართლისა; კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისთვის საჭირო გახდა პლენუმის სხდომაზე დამსწრე არანაკლებ 6 წევრის თანხმობა, ნაცვლად დამსწრეთა უმრავლესობისა); სადავო ნორმების შეჩერების უფლებამოსილება მიენიჭა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს (ეს უფლებამოსილება ჩამოერთვა საქმის განხილველ კოლეგიას); საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ წევრს მიენიჭა საქმის პლენუმისათვის განსახილველად გადაცემის უფლებამოსილება საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლიდან სულ რამდენიმე საათში ერთ-ერთმა მოსამართლემ, ისარგებლა რა სწორედ ამ უკანასკნელი, საგანგებოდ (მისთვის) შექმნილი რეგულაციით, შუამდგომლობებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, კოლეგიის წარმოებაში არსებული სამი საქმის („შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“, ერთ-ერთი პოლიტიკოსისა და ე.წ. „კაბელების“ საქმეების) პლენუმის მიერ განსახილველად მიღების მოთხოვნით. მოსამართლის ასეთი საშური აქტივობა განპირობებული იყო განზრახვით – ერთი მხრივ, ამ საქმეების განხილვა/გადაწყვეტა ჩაჰბარებოდა ხელისუფლებისთვის საიმედო მოსამართლეების საკმარის რაოდენობას, ხოლო, მეორე მხრივ, განხილვა დროში გაჭიანურებულიყო. ასეც მოხდა: საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა სამივე საქმე მიიღო წარმოებაში. პირველივე წუთიდან ეჭვს არ იწვევდა, რომ შუამდგომლობებს უპირობოდ დაუჭერდა მხარს მოსამართლეთა შესაბამისი რაოდენობა. აღნიშნული შუამდგომლობების მხარდაჭერის საკითხი მათი დაწერის ეტაპზევე იყო გადაწყვეტილი. შედეგად, პლენუმზე არა მხოლოდ საქმეთა განხილვა გაჭიანურდა ხელოვნურად, არამედ ძალიან ბუნდოვანი გახდა მათი გადაწყვეტის

პერსპექტივაც. არადა, სამივე შემთხვევაში მოსარჩელებისთვის საქმის დროულად გადაწყვეტას განსაკუთრებული, კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ორ საქმეზე, მოსარჩელეთა აზრით, მათი თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურ დებულებებს ეფუძნებოდა. „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ საქმეზე კი სასწორზე იდო მედიასაშუალების სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხი. ამიტომ გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამოქალაქოსამართლებრივ დავაზე (სადაც აღნიშნული ტელეკომპანია მხარეს წარმოადგენდა) უზენაესი სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტას.

პოლიტიკური ხელისუფლების „სათანადო მეცადინეობის“ შედეგად კონკრეტულმა მოსამართლეებმა „ყველა საჭირო ზომა“ მიიღეს, რათა საქმეთა განხილვა გაჩერებულიყო. სამწუხაროდ, მათ უპირატესობა მიანიჭეს არა ადამიანის უფლებებს, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ კალენდარს – საქმეებს ჰქონდა რა პოლიტიკური კონტექსტი, მათი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ განხილვა, ნებისმიერი შედეგით საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში, პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან პოტენციურ საფრთხედ აღიქმებოდა.

ნიშანდობლივია, რომ ორი საქმე დღემდე (სარჩელის შეტანიდან 6 წლის თავზე) არ არის გადაწყვეტილი. მათ გადაწყვეტას მოსარჩელებისთვის აღარც აქვს მნიშვნელობა. „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ საქმეზე კი საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში დასახელებულ ცვლილებებზე მუშაობის ეტაპიდანვე განჭვრეტადი იყო მათი (ცვლილებების) რეალური მიზეზები, მიზნები, ასევე მკაფიოდ არაკონსტიტუციური შინაარსი. შედეგად, ცვლილებების უმეტესი ნაწილი პარლამენტის წევრთა ერთმა მეზუთედმა (ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების) და მოქალაქეებმა გაასაჩივრეს საკონსტიტუციო სასამართლოში. მოსარჩელების მთავარი მოთხოვნა კი მაინც სადავო ნორმების შეჩერება იყო, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, თავიდან იქნებოდა აცილებული ყველა ის ნეგატიური შედეგი, რომელთა გამოწვევის განზრახვითაც მიიღეს ცვლილებები. ამასთან, უმნიშვნელოვანესი იყო, რომ სადავო ნორმების შეჩერების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცა დამატებითი შესაძლებლობა, დაეცვა თავისი ავტორიტეტი, გამკლავებოდა კანონმდებლის მცდელობას, მოეხდინა სასამართლოს პარალიზება.

სამწუხაროდ, ცხრა მოსამართლიდან მხოლოდ ოთხმა დაუჭირა მხარი სადავო ნორმების შეჩერებას. ნაცვლად იმისა, რომ თითოეულ მოსამართლეს ყველა შესაძლო გზა გამოენახა ინსტიტუციის ავტორიტეტისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, მათმა უმრავლესობამ, ურთიერთშეთანხმებით, ფორმალისტური მიდგომა აირჩია და ასე მონახა გამოსავალი ნორმების შეჩერების საწინააღმდეგოდ. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელსაც, „როგორც არასდროს, ისე სჭირდებოდა დაცვა, არ აღმოაჩნდა

საკმარისი დამცველები მოსამართლეთა შორის, რომლებსაც ეს შეეძლოთ და უნდა გაეკეთებინათ“.

მოსამართლეთა უმრავლესობამ არა მხოლოდ სადავო ნორმების შეჩერებას არ დაუჭირა მხარი, არამედ საქმის განხილვა/გადაწყვეტაც მნიშვნელოვნად გადაავადა. საბოლოოდ, სასამართლომ გასაჩივრებული ნორმების უმეტესობა (მაგრამ არა ყველა პრობლემური ნორმა) არაკონსტიტუციურად ცნო. „თუმცა ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტი უხერხულობა და ცინიზმი შემატა მთელ პროცესს. იმ ფონზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების გატარების არაჯანსაღ მიზეზებსა და მიზანზე, ასევე არაკონსტიტუციურ შინაარსზე, კანონის პროექტზე მუშაობის დღეებიდანვე ხმამაღლა საუბრობდნენ პოლიტიკოსები, ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები, იურისტები, უკვე მოგვიანებით, ვენეციის კომისია, ამასთან, იმ პირობებში, რომ საკანონმდებლო ცვლილებებმა, მათ შორის, თავად სასამართლოს მიერ მათი გამოყენებით, მყისიერად გამოიწვია ის შედეგები, რომელთა მიღწევის მიზეზითაც მიიღეს და იმის გათვალისწინებით, რამხელა ზიანი მიაღწა სასამართლოს რეპუტაციას, ყველაზე გვიან ნორმათა არაკონსტიტუციურობაში სწორედ ისინი დარწმუნდნენ, ვისაც ეს ყველაზე მეტად ეხებოდა, ყველაზე უკეთ უნდა სცოდნოდა და ყველაზე ადრე მიმხვდარიყო. მეტიც, ასე დაგვიანებულმა გამოფხიზლებამ დამაჯერებელი გახადა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი ხელისუფლებისთვის უკვე მიღწეული იყო, შესაბამისად, არ არსებობდა არაკონსტიტუციური ცვლილებების შენარჩუნების პოლიტიკური დაინტერესება.“

წინამდებარე სტატიაში დასახელებული საქმეები, საბოლოო ჯამში, ეხებოდა რა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის საკითხს, გახდა ერთგვარი კატალიზატორი, ერთი მხრივ, თითოეული მოსამართლის როლისა და პოტენციური წვლილის დემონსტრირებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ თვალსაზრისით ფუნდამენტური პრობლემების გამოსავლენად. ყველა ამ საქმეს ახლავს კონკრეტული მოსამართლეების განსხვავებული აზრი, როგორც სადავო ნორმების შეჩერების საკითხზე, ისე საბოლოო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. მათში (განსხვავებულ აზრში) თვალსაჩინო და დამაჯერებელია მოსამართლეების მცდელობა, სათანადო არგუმენტებით დაარწმუნოს დანარჩენი მოსამართლეები, მხარი დაუჭირონ ადამიანის უფლებებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის, ავტორიტეტის დაცვის სასარგებლო პოზიციას.

დასაწყისად, რომ თავისუფლების ქომაგი მოსამართლეები, უკვე ტრადიციულად, უმცირესობაში არიან, თუმცა მაინც რჩება იმედი, რომ მათი ინდივიდუალური პოზიციონირება ასაზრდოებს მცირედ შესაძლებლობას მართლმსაჯულებისა და ზოგადად, სამართლის სამომავლო განვითარებისთვის.

სასამართლოს ნდობა და მისი ხელმისაწვდომობა

გურამ იმნაძე



ბოლო წლებში გატარებული არაერთი საკანონმდებლო რეფორმის მიუხედავად, მართლმსაჯულების სისტემის მიმართ კვლავაც დაბალია საზოგადოებრივი ნდობა. გარდა იმისა, რომ რეფორმის ტალღებს აკლდა სისტემურობა და თანმიმდევრულობა, ცალკე ყურადღებას იმსახურებს კანონებს მიღმა, ყოველდღიურობაში არსებული გამოწვევები. წლების განმავლობაში სამოქალაქო ორგანიზაციები თუ საერთაშორისო პარტნიორები საუბრობენ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა: პოლიტიკური ნების არარსებობა დამოუკიდებელი და თავისუფალი სასამართლოს შექმნაზე; მმართველ პოლიტიკურ ძალასა და სასამართლო სისტემაში არსებულ გავლენიან ჯგუფს შორის კავშირებსა და სასამართლოს პოლიტიზებაზე; სასამართლოს შიგნით განსხვავებული აზრის ჩახშობის მცდელობებზე; არამერიტოკრატიულ საკადრო პოლიტიკასა და მნიშვნელოვან თანამდებობებზე იმ მოსამართლეთა დანიშვნაზე, რომლებიც გამოირჩევიან შიდა გავლენიანი ჯგუფისადმი ლოიალურობით.

პრობლემების ეს არასრული ჩამონათვალი დიდ გავლენას ახდენს მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ხარისხზე, თუმცა ამ სტატიის მიზანს არ წარმოადგენს მართლმსაჯულების ინსტიტუციური მოწყობის კრიტიკა ან იმის შეფასება, რამდენად თავისუფალია სასამართლო შიდა თუ გარე გავლენისგან. ტექსტის მიზანია, უფრო ფართოდ წარმოაჩინოს სასამართლოსადმი ნდობის მნიშვნელობა და მისი შესაძლო შედეგები მოქალაქეებზე, განსაკუთრებით კი ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილზე, ვისაც ნაკლებად მიუწვდება ხელი სამართლებრივ სერვისებსა და ინფორმაციაზე.

სასამართლოს მიმართ ნდობის კრიზისი

პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა და ინსტიტუციური მოწყობის მიღმა სასამართლოსადმი ნდობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსამართლის კომპეტენცია და კეთილსინდისიერება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელდებით მიუთითებს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწყობის პროცესში კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებზე, ამ მიმართულებით ქართულ მართლმსაჯულებას მაინც აქვს მწვავე პრობლემები. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების პროცესში. ჯერ 2019 წელს მოსამართლეთა შერჩევის პროცესმა აჩვენა, რომ კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატების პროფესიული კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების მიმართ სერიოზული კითხვები არსებობდა. მომდევნო წლებში კი უმაღლესი ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის პროცესმა ისიც მკაფიოდ დაგვანახა, რომ მხოლოდ საკანონმდებლო და პროცედურული გაუმჯობესება ავტომატურად ვერ ქმნის გარანტიებს მაღალი კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების მქონე მოსამართლეთა შესარჩევად.

სასამართლოს ინსტიტუციური ლეგიტიმაცია თვისებრივად განსხვავდება ხელისუფლების პოლიტიკური შტოების ლეგიტიმაციისგან და მთლიანად ემყარება საზოგადოებრივ ნდობას. ფრაგმენტული რეფორმების, მუდმივი პოლიტიკების რისკის, შიდა გავლენებისა და მოსამართლეთა დაბალი კვალიფიკაციის ფონზე ლოგიკურია, რომ დღეს ქართულ სასამართლოს არ აქვს მაღალი საზოგადოებრივი ნდობა. მაგალითად, სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) ერთობლივმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტის აზრით, ქართული სასამართლო პოლიტიკური გავლენისგან არაა თავისუფალი. NDI-ის 2021 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, მოსახლეობის მხოლოდ 16% მიიჩნევს, რომ ბოლო 10 წელიწადში მართლმსაჯულების სისტემა გაუმჯობესდა, როცა ორჯერ მეტი – 32% ამბობს, რომ ვითარება ამ კუთხით გაუარესებულია. მძიმე ვითარებაზე მიუთითებს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) 2022 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევაც, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიმართ დადებითად მოსახლეობის მხოლოდ 38% პროცენტია განწყობილი, ხოლო უარყოფითად – 48%. აღნიშნული კვლევის თანახმად, სასამართლოზე მეტად, საქართველოს მოსახლეობა კეთილგანწყობილია ისეთი ინსტიტუტების მიმართ, როგორიცაა პოლიცია, პრეზიდენტი, პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები და სხვ.

როგორც აღინიშნა, სასამართლოს მიმართ ნდობა განსხვავებული ფაქტორებით ყალიბდება და ის შეიძლება განპირობებული იყოს როგორც ინსტიტუციური და პოლიტიკური კონტექსტით, ისე კონკრეტული ინდივიდების გამოცდილებითა და აღქმით. ასევე, საგულისხმოა, რომ ნდობის დეფიციტი პირდაპირ ახდენს გავლენას ინდივიდების ქცევაზე – მიმართონ თუ არა სასამართლოს, ცადონ თუ არა თავიანთი უფლებების სამართლებრივი გზებით დაცვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მაღალია სასამართლოსადმი უნდობლობა, მით ნაკლებია შანსი, რომ მოქალაქემ მას პირადი ინტერესების დასაცავად მიმართოს. მართლმსაჯულებისადმი უნდობლობა განსაკუთრებით მწვავედ შესაძლოა,

სწორედ იმ ინდივიდების უფლებრივ მდგომარეობაზე აისახებოდა უარყოფითად, ვისაც ყველაზე ნაკლებად მიუწვდება ხელი სამართლებრივ ინფორმაციასა თუ დახმარებაზე.

მოწყვლადი ჯგუფები და სასამართლოს ხელმისაწვდომობა

სასამართლოსადმი ნდობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფაქტორი ის გამოცდილებაა, რომელიც დიდწილად აყალიბებს მოქალაქეთა მოლოდინს პოტენციურ სამართლებრივ დავაზე. მართლმსაჯულებისადმი უნდობლობა შესაძლოა, უკავშირდებოდეს დისკრიმინაციულ ან ნაკლებად მგრძნობიარე დამოკიდებულებას სასამართლოს მხრიდან; სამართალწარმოებასთან დაკავშირებით არასაკმარის განმარტებებს; სასამართლოს არაერთგვაროვან პრაქტიკას; სამართალწარმოების ხანგრძლივობას, მასთან დაკავშირებულ სახსრებსა და სხვ.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის 2021 წლის კვლევის თანახმად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები ხშირად მიუთითებენ პოლიციის გულგრილობასა და ირონიულ დამოკიდებულებაზე. გამოკითხული პირები, აგრეთვე, საუბრობდნენ ქალების მიმართ სოციალური სტიგმისა და რე-ვიქტიმიზაციის მაღალ რისკზე, ამასთანავე, თავად სამართალდამცავთა მხრიდან ქალების მიმართ სექსუალურ შევიწროებაზე. ამ შემთხვევაში რესპონდენტები არა სასამართლოზე, არამედ სხვა უწყების მიმართ დამოკიდებულებაზე აკეთებენ აქცენტს, მაგრამ ამან შესაძლოა, მთლიანად სამართალწარმოებასა და უფლებების სამართლებრივი გზით დაცვის რწმენაზე იქონიოს გავლენა. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები ასევე მიუთითებდნენ ვითარების გამოსწორების მხრივ უიმედობასა და სოციო-ეკონომიკურ მოწყვლადობაზე. ეს ფაქტორებიც პირდაპირ უკავშირდება სასამართლო რგოლს – კერძოდ კი იმას, თუ რამდენად ხელმისაწვდომია, ფინანსური თვალსაზრისით, ეს ინსტიტუტი და რამდენად მგრძნობიარეა სასამართლო სხვადასხვა ჯგუფისა თუ ინდივიდის სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების მიმართ.

იმავე კვლევის თანახმად, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ადამიანები, განსაკუთრებით სოფლებში მცხოვრებნი, ხშირად თავს იკავებენ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისგან – ძირითადად, სირცხვილისა და რიდის გამო; არის შემთხვევები, როცა დედები შვილებს მამაკაცის მხრიდან გამოვლენილი ძალადობის ატანისკენ მოუწოდებენ. აგრეთვე, ხშირია მოსაზრება, რომ „ოჯახური საკითხები ოჯახში უნდა გადაწყდეს და პოლიცია ამაში არ უნდა ჩაერიოს“. საყურადღებოა ისიც, რომ ეს ტენდენციები უფრო მეტად სოფლებში ჩანს, ვიდრე ქალაქებში. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს პრობლემის ბუნებას – სასამართლოსადმი უნდობლობა, თუ მის მიმართ არსებული სხვა ბარიერები, საბოლოო ჯამში ყველაზე მეტად შესაძლოა იმ ინდივიდების უფლებრივ მდგომარეობაზე აისახებოდეს უარყოფითად, რომელთაც ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ ხარისხიანი იურიდიული დახმარება ან მოიძიონ საჭირო სამართლებრივი ინფორმაცია.

ასევე, მკაფიოა, რომ მართლმსაჯულების სისტემის შესაფასებლად მხოლოდ მის მიმართ არსებული ნდობა არაა საკმარისი კრიტერიუმი და მხედველობაშია მისაღები ისიც, თუ

რამდენად ხელმისაწვდომია მართლმსაჯულება მოქალაქეებისთვის. მაგალითად, 2020 წელს წარმოებული კვლევა აჩვენებს, რომ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ყველაზე დიდ ბარიერად მოსახლეობა სასამართლო ხარჯს და საქმის განხილვის ხანგრძლივობას ასახელებს და ამის შემდეგ მოდის სასამართლოსადმი უნდობლობა. იმავე კვლევის თანახმად, მოსახლეობისთვის სასამართლომდე მისასვლელ გზაზე ბარიერს წარმოადგენს შურისძიების საფრთხე, მოსამზადებელი დოკუმენტების სირთულე, კულტურული ფაქტორები, ენის არასაკმარისი ცოდნა და სხვ.

შეჯამებისთვის

იმისათვის, რომ სასამართლომ რეალურად უზრუნველყოს კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების სათანადოდ დაცვა, აუცილებელია, მის მიმართ არსებობდეს მაღალი საზოგადოებრივი ნდობა, თუმცა მხოლოდ ნდობა არაა საკმარისი სასამართლოს ეფექტიანი მუშაობისთვის და მოქალაქეები უნდა მიმართავდნენ კიდევ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლო ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით კი გარიყული, მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის მხოლოდ ვიწრო ლეგალისტური პერსპექტივით განხილვა ხშირად არა მხოლოდ არ იძლევა საფუძვლიან და სიღრმისეულ პასუხებს ვითარების გამოსასწორებლად, რეალური პრობლემის იდენტიფიცირებასაც კი შეუძლებელს ხდის. ამ მიზნით აუცილებელია, მხედველობიდან არ დავკარგოთ ის სოციალური და კულტურული ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ შეიძლება განსაზღვრავდეს სასამართლოსადმი ნდობის ხარისხს და აძლიერებდეს ან ასუსტებდეს მოქალაქის მოტივაციას – მიმართოს სასამართლოს.

სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებში ქართული სასამართლოს განვითარების ისტორია მხოლოდ ინსტიტუციურ მოწყობაზე მოგვითხრობს და მართლმსაჯულებაზე მიმდინარე პროფესიული დისკუსიებიც იშვიათად სცდებოდა ლეგალისტურ ჩარჩოებს. საკანონმდებლო და ინსტიტუციური კონტექსტი უმნიშვნელოვანესია სისტემის გამართულად მუშაობისთვის, მაგრამ რიგითი მოქალაქეებისთვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად მხოლოდ ეს არ კმარა. სასამართლოსადმი ნდობის გასაზრდელად, ინსტიტუციური და პოლიტიკური მდგრადობის მიღმა, აუცილებელია სასამართლოს მაღალი სოციალური მგრძნობელობა და იმ კულტურული, ეკონომიკური თუ სხვა ტიპის ბარიერების აღმოფხვრა, რომლებიც გავლენას ახდენს მოქალაქეების, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების ნდობაზე.

ინსტიტუციური და ლეგალისტური გამოწვევების მიღმა, აუცილებელია პოლიტიკურ დღის წესრიგში ისეთი საკითხების შემოტანაც, რომლებიც შესაძლოა, ყველა მოქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არ იყოს, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პირდაპირ განსაზღვრავდეს სასამართლოსადმი ნდობისა თუ ხელმისაწვდომობის ხარისხს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო - სისტემის წარმომადგენელი?

ნინო ნოზაძე



იუსტიციის უმაღლესი საბჭო იქმნება საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავებისთვის. იუსტიციის საბჭოებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად და უნდა იმუშაონ გამჭვირვალედ, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. იუსტიციის საბჭომ უნდა დაიცვას სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, რისთვისაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლოების მაქსიმალურად ფართო წარმომადგენლობა და რეგიონების მრავალფეროვნება.

სტატიაში ვისაუბრებთ იუსტიციის საბჭოს როლზე მართლმსაჯულების სისტემაში, რამდენად არის რეგიონის სასამართლოები წარმოდგენილი მასში. განვიხილავთ სისტემის ეფექტიანი მუშაობისთვის რამდენად ხდება მათი პრობლემების მიტანა ცენტრალურ დონეზე და შემდეგ უკვე მათი განხილვა.

კანონით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 15 წევრისაგან შედგება. 8 წევრს ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო – მოსამართლეთა კონფერენცია, მათგან თითო წევრი მაინც უნდა წარმომადგენდეს თითოეული ინსტანციის სასამართლოს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იმავდროულად არის იუსტიციის საბჭოს წევრი. 5 არამოსამართლე წევრს ირჩევს პარლამენტი, ერთს ნიშნავს პრეზიდენტი.

როგორია საბჭოს შემადგენლობა ახლა?

5 არამოსამართლე წევრი პარლამენტს წელიწადზე მეტია არ აურჩევია და ამ დროის განმავლობაში 10-წევრიანი შემადგენლობით მუშაობს. 10 – დან 8 – კონფერენციის მიერ არჩეული მოსამართლე წევრია, 1 – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც თანამდებობრივად არის საბჭოს წევრი და 1 – პრეზიდენტის მიერ ორი წლის წინ დანიშნული არამოსამართლე წევრი.

9 წევრიდან 4 – უზენაესი სასამართლოდანაა (3 კონფერენციის არჩეული და ერთი ex officio, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე), 3 პირველი ინსტანციის, ხოლო 2 სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეა.

დღეისათვის იუსტიციის საბჭოში მხოლოდ თბილისის სასამართლოები არიან წარმოდგენილი, მაშინ როდესაც სისტემაში უმრავლესობას სხვადასხვა ქალაქებში მდებარე რაიონული (საქალაქო) სასამართლოები შეადგენენ.

2013 წლიდან დღემდე კონფერენციამ საბჭოში 25 მოსამართლე წევრი აირჩია. 25 წევრიდან მხოლოდ დიმიტრი გვრიტიშვილი წარმოადგენდა იმავდროულად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

კანონმდებლობით რეგიონების კვოტა არ არის გათვალისწინებული. მოსამართლეთა კონფერენციებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ არც კონფერენცია აწესებს მაღალ სტანდარტს. საბჭოს წევრის დასახელების შესაძლებლობა ნებისმიერ მოსამართლეს აქვს, თუმცა ამ უფლებით „რჩეულები“ სარგებლობენ და დანარჩენი მოსამართლეები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ მათ. გავლენიანი ჯგუფის ინტერესში არ შედის სისტემის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას მოსამართლეების რეალური ჩართულობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალიზმის წახალისება. ამას ხელს უწყობს მმართველი პარტია. ბოლო ცვლილებებს თუ გადავხედავთ დავინახავთ, რომ იგი მთლიანად სისტემის გავლენიანი პირების ინტერესებზე იყო მორგებული. მაშინ როდესაც საბჭოში თავმჯდომარეების კვოტაც არის გათვალისწინებული და თავმჯდომარეებად წლების განმავლობაში ერთგულებაში გამოცდილი მოსამართლეები ინიშნებიან. დეკემბერში დაჩქარებულად მიღებული ცვლილებებით, იმის ნაცვლად, რომ კანონმდებელს მოსამართლეების ფართო წარმომადგენლობა წახალისებინა, იუსტიციის საბჭოს წევრად ერთი და იგივე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევის შესაძლებლობა დააბრუნა კანონში. როგორც განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, ეს ცვლილება ემსახურებოდა „პროფესიული გამოცდილებისა და დამსახურების პრინციპზე დაყრდნობით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებას, საბჭოში ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნებას.“ ეს იმ ფონზე როდესაც სისტემაში მთავარ გამოწვევად კორპორატივიზმი და კლანური მმართველობა რჩება და წლების განმავლობაში ერთი და იგივე მოსამართლეები იკავებენ მენეჯერულ თანამდებობებს.

მმართველი პარტიის არგუმენტი, ცვლილების, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაა. თუმცა ვენეციის კომისიამ, ერთ-ერთ დასკვნაში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს კონტექსტი განსაკუთრებულია, რადგან წარსულის გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ვერ მოიპოვა საზოგადოებრივი ნდობა და აღიარება.

იმ ფონზე, როდესაც სისტემას გავლენიანი ჯგუფი მართავს, რომელიც ყოველგვარ ინდივიდუალიზმის გამოვლენას მყისიერად ახშობს, არ არის კონკურენტული გარემო, მხოლოდ რეგიონული კვოტების შემოღება რასაკვირველია, არაფერს შეცვლის. რეგიონული კვოტების შემოღებასთან ერთად, ძირეული რეფორმებია საჭირო, რაც ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მყოფი მოსამართლეების იუსტიციის საბჭოს წევრობის აკრძალვაში, ინდივიდუალური მოსამართლეების წახალისებაში და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების წესის ცვლილებაში უნდა გამოიხატოს.

სასამართლოს სტრატეგია და რეგიონის სასამართლოების ჩართულობა

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ინკლუზიური პროცესის შედეგად 2017-2021 წლის მართლმსაჯულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა, რომელიც სასამართლო სისტემის განვითარებისა და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულებისთვის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავდა.

სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში, მათ შორის საკმაოდ იყო ყურადღება გამახვილებული რეგიონის მოსამართლეების ჩართულობაზე სისტემის მართვასა თუ რეფორმირებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, „საბჭოში ყველა ინსტანციის სასამართლოს და შეძლებისდაგვარად, რეგიონების სასამართლოების წარმომადგენლობაზე.“ სტრატეგია ყურადღებას ამახვილებდა სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით მაღალმთიან და არამჭიდროდ დასახლებული რეგიონებისთვის. ასევე, საუბარი იყო, სასამართლოებს შორის კომუნიკაციის გამარტივებისა და გაუმჯობესებისთვის ინტრანეტის დახვეწაზე, რათა რეგიონების სასამართლოები აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართული სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში. სტრატეგიაში, სასამართლოს და მოსამართლეთა გადატვირთულობის შემცირების ერთ-ერთი გზად დავების ალტერნატიული საშუალებების განვითარებაზე და მათ ეფექტურ გამოყენებაზე იყო მოწოდება.

განტვირთვის ალტერნატიული საშუალებების განვითარების საკითხზე, იუსტიციის საბჭოს მდივნის ყოველწლიურ ანგარიშში წერია, რომ „რუსთავის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში თანამედროვე სტანდარტით მოეწყო სასამართლო მედიაციის დარბაზები და უკვე ჩატარდა მედიაციის პროცესები.“ რამდენად განმუხტა მედიაციის, როგორც ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების ამოქმედებამ სასამართლოები ამ საკითხზე იუსტიციის საბჭოს შინაარსობრივად არცერთ სხდომაზე არ უმსჯელია. გადატვირთულობა კი კვლავ რჩება სისტემის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად.

სტრატეგიის მიხედვით მოსამართლეთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, საბჭომ რეგლამენტში ცვლილება შეიტანა. გადაწყდა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული, სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მასალები დაიდება ინტრანეტზე მოსამართლეებისგან წერილობითი შენიშვნების/კომენტარების მიღების მიზნით. იმ ფონზე, როცა იუსტიციის საბჭო ქაოსურად ნიშნავს სხდომებს, ხოლო სხდომის თარიღიც და დღის წესრიგიც სამი დღით ადრე გამოქვეყნების ნაცვლად, სხდომის წინა საღამოს ქვეყნდება, სრულიად წარმოუდგენელია ამ ცვლილებამ ოდნავ მაინც გააუმჯობესოს ვითარება და მოსამართლეთა ჩართულობას მისცეს ბიძგი.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაციის პროცესში გამოიკვეთა, რომ მართლმსაჯულების სისტემაში პრობლემური საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ ტექნიკურად ხდებოდა და აქტივობების ფორმალურ შესრულებას ემსახურებოდა, ხოლო სასამართლო სისტემის ხარისხობრივი გაუმჯობესება, სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების ინტერესს მიღმა რჩებოდა, რასაც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ნათლად ადასტურებს.

გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და 2021 წლის შემდგომი სამოქმედო გეგმის მიღება და იმპლემენტაცია, ფართო, ინკლუზიური და პარტიებს შორის შეთანხმებაზე ორიენტირებული პროცესის გზით, ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე კვლავ ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს.

როგორ მუშაობს იუსტიციის საბჭო?

დღესდღეობით საბჭოს სხდომების ჩატარების გრაფიკი ქაოსურია. ხშირად, სხდომამდე ნახევარი საათით ადრე, საბჭოს აპარატის თანამშრომელმაც კი არ იცის სხდომა ჩატარდება თუ არა. ამ პირობებში ჩნდება კითხვა, იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი სხვა რეგიონის სასამართლოს მოსამართლე იქნებოდა იუსტიციის საბჭოს წევრი, რამდენად შეძლებდა მის საქმიანობაში ეფექტიანად მონაწილეობას. ეს თითქოს წვრილმანია დიდ სურათში, თუმცა კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს იმ სამწუხარო რეალობას, რაც იუსტიციის საბჭოშია შექმნილი.

გახმაურებული საკითხების გარდა, როგორიცაა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნომინირება, მოსამართლეების დანიშვნა/გადანიშვნები, თავმჯდომარეების დანიშვნა, სხვა თემებზეც მსჯელობს საბჭო, თუმცა საკითხავია, რამდენად არის რეგიონებში მდებარე სასამართლოების პრობლემები პრიორიტეტული საბჭოსთვის. 2021 წლის განმავლობაში რაიონულ სასამართლოებთან დაკავშირებულ 10-მდე საკითხზე იყო მსჯელობა, მაგრამ ძირითადად მოიცავდა მოსამართლის ბინით და საწვავით უზრუნველყოფას, მივლინებას, კონკურის გარეშე გადაყვანების ინიცირებას.

მოსამართლეს, რომელსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არა აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფო უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართობით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს. სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეების შემთხვევაში ასეთ გადაწყვეტილებას იუსტიციის საბჭო იღებს და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით ადგენს საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის გამოსაყოფი თანხების ოდენობას. ამასთან, საბჭო საერთო სასამართლოების დეპარტამენტს აძლევს თანხმობას მოსამართლეებისთვის საწვავისა და საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრაზე.

მოსამართლეების ცხოვრებისა და საქმიანობის ღირსეული პირობების შექმნა მათი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად უდავოდ მნიშვნელოვანი პირობაა, მაგრამ მოსამართლეების დამოუკიდებლობა, ინდივიდუალური თავისუფლების, შიდა და გარე გავლენისაგან თავისუფალი გარემოს შექმნის გარეშე შეუძლებელია.

მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის საკითხს საბჭო ბოლო წლებია აქტიურად აინიცირებს (რაც ერთგვარი შიდა კონკურსია). მოსამართლეთა სხვა სასამართლოებში გადაყვანის სიხშირე და მოსამართლეების როტაცია ეჭვებს აჩენს გავლენიანი ჯგუფის მიერ გარკვეულ სტრატეგიულ სვლებზე, რაც მათთვის მნიშვნელოვან სასამართლოებში ერთგული მოსამართლეების გადანიშნვას ემსახურება და არა სასამართლოების განტვირთვას.

იუსტიციის საბჭო მოსამართლეთა სხვა სასამართლოებში გადაყვანისას არათანმიმდევრულია, როდესაც ამას საქმეთა სიმრავლის მოტივით ხსნის და მხედველობაში არ იღებს გადატვირთულობის პრობლემას, რომელიც სხვა სასამართლოშიც მწვავედ დგას. თუ გადაყვანების პრაქტიკას დავაკვირდებით, ნათელი არ არის კონკრეტული კანდიდატისთვის უპირატესობის მინიჭების საფუძვლიანობა. რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსამართლეთა გადაყვანები პირადი რეკომენდაციის საფუძველზე ხდება და არ ემსახურება სასამართლოების გადატვირთულობის პრობლემის რეალურ მოგვარებას.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს საჭიროებებზე, რეგიონისთვის დამახასიათებელ გამოწვევებზე შინაარსობრივად საბჭოს არცერთ სხდომაზე არ უმსჯელია. სისტემის ეფექტიანად მუშაობა შეუძლებელია იმ საჭიროებების გამოკვლევის გარეშე, რაც რეგიონის სასამართლოები წინაშე დგას. დღის წესრიგში საკითხების გადახედვის დროსაც კი ნათელია ხდება, სასამართლოს გავლენიანი ჯგუფის გეგმები და სტრატეგია. ასეთი მიდგომა, კიდევ ერთხელ მიუთითებს ნების არარსებობაზე – მიიღოს სასამართლო სისტემის ეფექტიანი მუშაობისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და არა ისეთი რომელიც გავლენიან ჯგუფს კიდევ უფრო გააძლიერებს.

უარი საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებაზე

ანა ჩაფიძე



საქართველოში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ისევ პრობლემური საკითხია და ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი არსებობს ამ მიმართულებით. მართლმსაჯულებაზე სრულყოფილი წვდომა გულისხმობს იმას, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და რომ მათთვის უზრუნველყოფილი იყოს საქმის სამართლიანი და დროული განხილვა, თუმცა ეს უფლება ზოგჯერ მხოლოდ თეორიულად არსებობს, რადგან რიგ შემთხვევებში მოქალაქეებს სასამართლოზე ხელმისაწვდომობა პრაქტიკულად არ აქვთ.

დღეის მდგომარეობით ადამიანები დარღვეული უფლებების აღსადგენად სასამართლოს მიმართავენ, თავიანთი ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიხედვით, თუმცა მხოლოდ ფორმალური მიმართვა არ არის საკმარისი მათი საქმის სწრაფად, სამართლიანად განსახილველად. ამ მიმართულებით ადამიანები ბევრ წინაღობას აწყდებიან, როგორიცაა: სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა, სარჩელის წარმოებაში მიღების ფორმალური გამართულობა (რაც მოითხოვს იურიდიულ დახმარებაზე წვდომასაც), სასამართლოს საქმის სწრაფად, სამართლიანად, დროულად განხილვა და სხვა ფაქტორები. ჩამოთვლილთაგან მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ფაქტორებიდან გამოვყოფდი ერთ-ერთ ძირითად საკითხს – სასამართლოში საქმის დროულ განხილვას. შეუძლებელია, ვისაუბროთ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე, თუ ქვეყანაში არ არის სასამართლო პროცესების დროულად, გონივრულ ვადებში განხილვის შესაძლებლობა.

საქართველოს კანონმდებლობა სასამართლოში სხვადასხვა კატეგორიის დავის განხილვის განსხვავებულ ვადებს ადგენს, თუმცა დღეს ამ მხრივ ძალიან დიდი პრობლემა არსებობს, რადგან ხშირად სასამართლოს მიერ საქმეების განხილვა კანონით დადგენილ ვადებში არ სრულდება, უფრო მეტიც, წლობით შეიძლება, საქმე განხილვის გარეშე დარჩეს. ამ პრობლემის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოვიხმოთ რამდენიმე საქმეს, რომელთა განხილვასაც ადამიანები უკვე წლებია, ელოდებიან.

მოქალაქე ბ.კ.-მ 2018 წლის ივლისში მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მისთვის საკუთრების უფლებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მიზნით. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა დაიწყო 2022 წლის იანვარში. ამ ხნის განმავლობაში ერთ-ერთ მოწინააღმდეგე მხარე გარდაიცვალა და მოქალაქეს მოუწია, თავიდან შეეტანა ახალი სარჩელი (დაეზუსტებინა სასარჩელო მოთხოვნა) და მოწინააღმდეგე მხარეებიდან ამოერიცხა გარდაცვლილი მხარე. ახალი სარჩელის შეტანაზე ვრცელდებოდა სარჩელის მისაღებად დადგენილი ის პროცედურები, რომლებიც მოქალაქეს თავდაპირველად შეტანილ სარჩელზე ევალებოდა. ამით მოსამართლეს ჰქონდა უფლება, გარკვეული საფუძველით უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე და ასე დაუსრულებლად გაგრძელებულიყო პროცესი. ამ შემთხვევაში მოსამართლეს ჰქონდა მცდელობა, უარი ეთქვა ამ სარჩელის განხილვაზე, თუმცა საბოლოოდ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა 2022 წლის 5 ივნისს, დასაბუთებული გადაწყვეტილება კი მხარეებს ჩაბარდა 2022 წლის 3 ივლისს. მოქალაქე ბ.კ.-ს 4 წელი დასჭირდა პირველ ინსტანციაში საქმის დასრულებისთვის. მიუხედავად პირველ ეტაპზე საქმის განხილვის დასრულებისა, მოქალაქე სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და გასაჩივრებული აქვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საქმის განხილვას ზედა ინსტანციის სასამართლოში კიდევ დიდი დრო დასჭირდება. შესაბამისად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მოქალაქე ბ.კ.-ს უფლება მისი საქმის სწრაფ, სამართლიან და დროულ განხილვაზე არ არის ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეების განხილვის ვადა შეადგენს 2 თვეს, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 5 თვით.

გ.ჟ-ს საქმე ეხება მის საცხოვრებელ სახლს, რომელიც ერთ-ერთმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ კანონის უხეში დარღვევითა და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ფარულად გაუსხვისა სხვა პირებზე. აღნიშნული გასხვისების ფაქტი შემთხვევით შეიტყვეს მან და მისმა ოჯახის წევრებმა. მოსარჩელეს სხვა საცხოვრებელი სახლი არ გააჩნია. სადავო საცხოვრებელ სახლში ცხოვრობს მოსარჩელე, მისი დედა, მამა, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. გ.ჟ-მ სარჩელი შეიტანა სასამართლოში 2020 წელს, თავისი საკუთრების უკან დაბრუნების მიზნით. საქმე ამ დრომდე არ განხილულა. მოსარჩელის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის უფლება. თავის საცხოვრებელ სახლზე საკუთრების დროულად აღდგენის შეუძლებლობით მოსარჩელეს ბევრი პრობლემა ექმნება, როგორცაა, მაგალითად, ბუნებრივი აირის მიწოდების მიზნით აბონენტად დარეგისტრირება, რასაც მესაკუთრის თანხმობა სჭირდება და ა.შ.

ასევე, მიიწოდება, შეეცხო ერთ-ერთ ისეთ საქმეს, სადაც მოსარჩელე საერთოდ სასამართლოს უფლებით სარგებლობის გარეშე დატოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ. მოქალაქე რ.ს-მ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო 2018 წელს სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელეს 5-ჯერ უთხრეს უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სასამართლოს მიერ სარჩელის მიღებაზე უარს სხვადასხვა საფუძველი ჰქონდა. უარის თქმის საფუძველებიდან ერთ-ერთი იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის ოდენობა, რაც, თურმე, რამდენი მოპასუხეც არის საქმეში, ცალ-ცალკე უნდა ყოფილიყო გადახდილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟი სამოქალაქო საქმეებსა და, მათ შორის, შრომითი დავების სარჩელებზე განისაზღვრება დავის საგნის ღირებულების 3%-ით, მაგრამ არ უნდა იყოს 100 ლარზე ნაკლები. შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრება არა მოპასუხეების რაოდენობით, არამედ დავის საგნის ღირებულების მიხედვით. მიუხედავად ამისა, რ.ს. სარჩელის წარმოებაში მიღების მიზნით დაეთანხმა სასამართლოს მიერ არასწორად დადგენილ მოთხოვნას და გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი მოპასუხეების რაოდენობის მიხედვით. 2020 წელს ამ საქმეზე დაიწყო სასამართლო განხილვა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ რ.ს-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა სარჩელის ხანდაზმულობის საფუძველით. ამ საქმეზე სასამართლომ დაარღვია მოქალაქის უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე. რ.ს. სარჩელი კანონით დადგენილ ვადაში შეიტანა, თუმცა არ დაურთო მისი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებები, ამ საფუძველით იგივე მოსამართლემ სარჩელი არ დააკმაყოფილა. ამით, სასამართლომ მიზანმიმართულად უარი უთხრა მოქალაქე რ.ს-ს საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებაზე.

ზემოთ მითითებული საქმეებით თვალსაჩინოა, რომ მოქალაქეების კონსტიტუციური უფლება სამართლიან სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე პრაქტიკაში არ განხორციელდა. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ რიგ შემთხვევებში მოქალაქეები შესაძლოა საერთოდ სასამართლო განხილვის უფლების გარეშე დარჩნენ და ვერ აღიდგინონ მათი დარღვეული უფლებები. ამასთან, აშკარაა, რომ სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის ეფექტიანობა მცირდება, როდესაც ადგილი აქვს სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვის წლობით გაჭიანურებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, სასამართლოების მიერ ყველა მოქალაქისთვის თანაბრად იყოს უზრუნველყოფილი საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება.

სტამბოლის კონვენციის სტანდარტები ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენებში

ანა შალამბერიძე



ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ (შემდეგში „სტამბოლის“ კონვენცია) პირველი რეგიონული ინსტრუმენტია, რომელიც როგორც ევროპის საბჭოს წევრ, ასევე, არაწევრ ქვეყნებს საშუალებას აძლევს, მსოფლიო მასშტაბით შეუერთდნენ და დაამკვიდრონ ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გაძლიერების მიმართულებით. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის – დანაშაულების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მის უმთავრეს მიზეზსა და შედეგს წარმოადგენს ქალსა და მამაკაცს შორის ძალაუფლების ისტორიულად არათანაბარი განაწილება. ძალადობა არის პატრიარქალურ საზოგადოებაში გამოყენებული სოციალური მექანიზმი, რომელიც ქალებს დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ამყოფებს მამაკაცებთან მიმართებით. ქალის მიმართ ძალადობა საზოგადოებაში მისი მეორეხარისხოვანი როლისა და არასრულფასოვნების იდეას ეფუძნება.

2017 წელს საქართველომ მოახდინა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება და თანმდევი საკანონმდებლო პაკეტი შეიმუშავა. ამ მნიშვნელოვან სიახლეს, წესით, გარდატეხა უნდა შეეტანა სასამართლო პრაქტიკაშიც, მაგრამ ასე არ მომხდარა. სასიკეთო ძვრებთან ერთად ხელშესახებია მთელი რიგი პრობლემები და გამოწვევები პრაქტიკაში.

მოცემული სტატია აანალიზებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენების დასაბუთებას. მთლიანობაში, შესწავლილია 39 განაჩენი, რომელთა შორისა: მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის (7 განაჩენი), მოსამართლე თათია

გოგოლაურის (21 განაჩენი) და მოსამართლე ნანა ხუჯაძის (11 განაჩენი) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

მსხვერპლის ჩვენებაზე დამოკიდებული დამნაშავეის „ბედი“

სტამბოლის კონვენცია (55-ე მუხლი) ადგენს:

„მხარეები უზრუნველყოფენ, რომ დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მხარის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, „დაზარალებულს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა“, მათ შორის, მისი ჩვენება მიიჩნევა მტკიცებულებად, თუკი დასაშვებობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ის სარგებლობს უფლებით, არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ, თუკი ოჯახში ძალადობის საქმეებზე სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, დაზარალებული არ აძლევს ჩვენებას ბრალდებულის წინააღმდეგ, სასამართლოს, გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოაქვს. მოსამართლე, როგორც წესი, არ ითვალისწინებს დაზარალებულის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემულ მამხილებელ ჩვენებას.

მოსამართლეები უგულებელყოფენ ოჯახური დანაშაულის სპეციფიკურ ბუნებას: მსხვერპლს და ბრალდებულს ერთობლივი მეურნეობა/თანაცხოვრება აქვთ, ან ჰქონდათ წარსულში და მსხვერპლს მოძალადესთან სოციალური და ემოციური კავშირი აქვს; ხშირად მათ საერთო შვილები ჰყავთ, ან ოჯახის წევრები არიან; უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში მსხვერპლს არ გააჩნია ეკონომიკური დამოკიდებულება და შვილის (შვილების) მარჩენლის გარეშე დარჩენის შიშით ცდილობს აარიდოს მოძალადე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას; დაზარალებული არ გრძნობს თავს უსაფრთხოდ და მოწყვლადია მოძალადის ზემოქმედების მიმართ. ამ ფაქტორების გამო, ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც დაზარალებული, რომელმაც საშველად სამართალდამცავებს მოუხმო, სასამართლო სხდომაზე უარს ამბობს ბრალდების დამადასტურებელი ჩვენების მიცემაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო თავის გადაწყვეტილებას, როგორც წესი, დაზარალებულის ჩვენებას აფუძნებს და ამ მიდგომას უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით ამყარებს.

ტენდენცია, რომელიც ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად იკვეთება, ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება სტამბოლის კონვენციის ზემოაღნიშნულ სტანდარტსა და სულისკვეთებას.

შეგვხვდა საგამონაკლისო შემთხვევაც, როდესაც ქუთაისის საქალაქო სასამართლო მტკიცებულებების ნაწილში დაზარალებულის გამოკითხვის ოქმს დაეყრდნო, თუმცა ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ მან დაზარალებულის დაცვის ინტერესი გაითვალისწინა, როგორც ამას სტამბოლის კონვენცია ავალდებულებდა. ამ საქმეში ბრალდებული აღიარებდა დანაშაულს და მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

„ბრალდებული ინანიებს დანაშაულს“

სტამბოლის კონვენცია (49-ე მუხლის მე-2 პუნქტი) კიდევ უფრო ამყარებს ამ ვალდებულებას და სახელმწიფოებისგან მოითხოვს ამ კონვენციით განსაზღვრული დანაშაულების ეფექტიანად გამოძიებასა და სასამართლო წესით დასჯას. აქ იგულისხმება შესაბამისი ფაქტების დადგენა, ყველა არსებული მოწმის გამოკითხვა, სასამართლო ექსპერტიზა მულტიდისციპლინური მიდგომების გამოყენებით და სისხლის სამართლის დანაშაულთა თანამედროვე საგამოძიებო მეთოდების გამოყენებით წარმართვა საქმის სრულყოფილი ანალიზის მიზნით.

ჩვენ მიერ გამოკვლეულ სასამართლოს გადაწყვეტილებებში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოძალადის მიერ დანაშაულის მონანიება სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად არის მიჩნეული და მისი გათვალისწინებით, დამნაშავეს უფარდებენ პირობით მსჯავრს ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას.

უფრო მეტიც, ერთ-ერთ საქმეში საერთოდ უგულებელყოფილია ისეთი არსებითი ხასიათის მტკიცებულება, როგორიცაა სასამართლოს სამედიცინო დასკვნა:

„საქმეში წარმოდგენილია აგრეთვე სამედიცინო ექსპერტიზის NO--- დასკვნა, რომლის თანახმად – წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის (სასწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახების ბარათი N327-ის ასლი) – მონაცემებისა: მიღებულ ტრავმასთან დაკავშირებით მოქალაქე მ---გ---ს გაეწია სასწრაფო-სამედიცინო დახმარება 25.10.2018 წელს და დაესვა დიაგნოზი: თავის ღია ჭრილობა. 25.10.2018 წ. 20:16-20:25 სთ-ზე ჩატარებული პირადი გასინჯვით მოქალაქე მ---გ---ს სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანება უსწოროკიდებუიანი ჭრილობის სახით (აღწერილობა და ზუსტი ლოკალიზაცია იხილეთ პირადი გასინჯვის მონაცემებში). ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად.“

ვინაიდან ბრალდებული არ აღიარებდა დანაშაულს და დაზარალებულმაც მის სასარგებლოდ შეცვალა ჩვენება სასამართლო განხილვის ეტაპზე, მოსამართლემ საქმეში

არსებული, სხეულის დაზიანების დამადასტურებელი სამედიცინო დასკვნის მიუხედავად, გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

ასეთი პრაქტიკა არ არის თავსებადი ქალის მიმართ ძალადობის ფაქტის ყოველმხრივ გამოძიებასა და დამნაშავეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომელთაც სახელმწიფოს სტამბოლის კონვენცია ავალდებულებს.

„თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სანქცია“

სტამბოლის კონვენციით (45-ე მუხლი) „მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ კონვენციით დადგენილი დანაშაული ისჯებოდეს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სანქციების საშუალებით, ამ დანაშაულთა სერიოზულობის გათვალისწინებით. ეს სანქციები მოიცავს, სადაც ეს მიზანშეწონილია, თავისუფლების აღკვეთას...“

გამოკვლეული სასამართლო განაჩენები აჩვენებს, რომ მოსამართლეები ოჯახში ძალადობაში დამნაშავედ ცნობილ პირებს, ძირითადად, უფარდებენ პირობით მსჯავრს ან აკისრებენ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის საათებს. მართლმსაჯულების ასეთი პასუხი ძალადობის მიმართ კიდევ უფრო უმძაფრებს მსხვერპლს უმწეობის განცდას და შიშს, რომ მოძალადე კვლავ მიმართავს მასზე ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

სასამართლოს გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, ოჯახური დანაშაულის საქმეზე გამოიყენება დამამძიმებელი გარემოება სასჯელის დანიშვნის ნაწილში სისხლის სამართლის კოდექსის 531-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული სამართლებრივი ნორმის პირველი ნაწილი, სხვა საფუძვლებთან ერთად, შეეხება გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის დამძიმებას. მეორე ნაწილის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვანის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

ამ დებულების პრინციპია შემდეგი: მისი პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მსჯელობს, როგორც წესი, სსკ-ის 531 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების, როგორც სასჯელის

დამამძიმებელი გარემოების გამოყენების თაობაზე, ხშირად განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში არ გვხვდება ამაზე მსჯელობა.

არის გარკვეული საქმეები, როდესაც სასამართლო სასჯელის სახედ იყენებს თავისუფლების აღკვეთა, თუმცა ეს, ძირითადად, ისეთ შემთხვევებს შეეხება, როდესაც მსჯავრდებულს შეფარდებული ჰქონდა პირობითი მსჯავრი და მან ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული – ოჯახში ძალადობა.

ასეთ საქმეებზე დაკვირვება დამატებითი დასკვნის საფუძველს გვაძლევს: მსუბუქი ხასიათის სასჯელების გამოყენება, როგორცაა პირობითი მსჯავრი ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მსხვერპლის მიმართ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკს ზრდის.

ერთ-ერთ საგამონაკლისო გადაწყვეტილებაში საპატიმრო სასჯელი ჰქონდა გამოყენებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, თუმცა სააპელაციო სასამართლომ შეცვლა უფრო მსუბუქი ღონისძიებით, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებისთვის ერთგვარი მინიშნებაა სასჯელის შერჩევის ნაწილში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენებში გამოვლენილი ტენდენცია სასჯელის მსუბუქი ღონისძიების გამოყენების თაობაზე ემთხვევა საერთო სასამართლოების მთლიან სურათს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის მიხედვით. საერთო სასამართლოებში 2020 წლის სისხლის სამართლის საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოებში 1491 საქმიდან 225 საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი, 379 საქმეზე – სასჯელის სახედ განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, 706 საქმეზე – პირობითი მსჯავრი, 196 საქმეზე – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ხოლო 2 საქმეზე – ჯარიმა.

გადაწყვეტილებების დასაბუთება გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შესახებ

სტამბოლის კონვენცია აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობის გენდერულ ბუნებას. „ქალთა მიმართ ძალადობის გენდერული ნიშნით“ ჩადენა გულისხმობს „ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე.“

სამწუხაროდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენების შესწავლამ აჩვენა, რომ სასამართლო არ აფასებს ქალთა მიმართ ძალადობის გენდერულ ბუნებას, სტამბოლის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად.

რამდენიმე განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ვკითხულობთ, რომ „ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად მიღებული კანონების შესრულებას აბრკოლებს საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება და ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური მიდგომები და გენდერული სტერეოტიპები, რაც გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ

შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განაპირობებს, ხოლო ოჯახში ძალადობა ქვეყნის უმეტეს ნაწილში ძალზე პირადულ და არა საჯარო საკითხად მიიჩნევა.“

შემდეგ მოსამართლეს მოჰყავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის გადაწყვეტილება საქმეზე X და Y საქართველოს წინააღმდეგ, ასევე, სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შესრულების ნაწილში, ევროსასამართლოს საქმე OPUZ V. TURKEY.

საბოლოოდ კი, ასეთ გადაწყვეტილებას იღებს:

„სასამართლოს მიაჩნია, რომ კ— ლ—-ეს უნდა განესაზღვროს – ჯარიმა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ჯარიმის სახით განსაზღვრული თანხის ოდენობასთან დაკავშირებით სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ეკონომიურ მდგომარეობას და გამომდინარე აქედან, კ— ლ—-ის მიმართ ჯარიმა 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით არის, როგორც ადეკვატური და პროპორციული ზემოქმედების ღონისძიება, რაც, ერთი მხრივ, დამაფიქრებელი იქნება მისთვის, რათა უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, გასაკიცხაობის ხარისხი, განიმსჭვალოს მართლწესრიგის დაცვითა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ ბრალდებულის მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის ზემოაღნიშნული ოდენობით განსაზღვრა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავეს რესოციალიზაციას“.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე შეეხო ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ადეკვატური სასჯელის გამოყენების პრინციპს და რამდენიმე საერთაშორისო გადაწყვეტილებაც ახსენა, მან მაინც ბრალდებულის მდგომარეობის გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება და ყურადღება გენდერული ნიშნით დანაშაულის ნიშნების არსებობაზე ან არარსებობაზე საერთოდ არ გაამახვილა. ამასთან, გაურკვეველი რჩება, ფულადი ჯარიმის პირობებში, როგორ დაფიქრდება მოძალადე თავისი ქცევის „გასაკიცხაობის ხარისხზე“, აგრეთვე, მის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი განაჩენში კვლავ არ არის შეფასებული.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შაბლონური გამოყენება

ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ვხვდებით ციტატებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან, ძირითადად, მტკიცებულებების უტყუარობის, რელევანტურობისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტების შესახებ. არ არის განვითარებული მსჯელობა გენდერული ნიშნით ძალადობასთან ბრძოლის წინააღმდეგ ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებით.

არც ერთ საქმეში არ ჩანს, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებამ გავლენა მოახდინა საქმის საბოლოო შედეგზე ან კონკრეტული სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაზე.

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზმა ცხადყო, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებში სასამართლო განაჩენები არ გამოხატავს სტამბოლის კონვენციის სულისკვეთებას და არ პასუხობს სრულად მის მთავარ მიზანს – „დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან და აღკვეთოს, სისხლისსამართლებრივად დევნოს და აღმოფხვრას ძალადობა ქალების მიმართ და ოჯახში ძალადობა“.

იმისთვის, რომ სტამბოლის კონვენციის სიკეთეები ხელშესახები გახდეს ქალებისთვის საქართველოში, მის კვალდაკვალ უნდა განვითარდეს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაც.

რისტვის (არ) ისჯებიან ქართველი მოსამართლეები – სადისციპლინო კოლეგიის პრაქტიკა 2012 წლიდან დღემდე

კახა წიქარიშვილი



აღიარებულია, რომ დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული სასამართლო დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი ფორმაა. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა შემდეგ ძირითად მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- წინასწარ უნდა ადგენდეს, მოსამართლის მიუღებელ და დისციპლინური წესით დასჯად ქმედებას, რომელიც იქნება განჭვრეტადი როგორც მოსამართლის, ასევე საზოგადოებისათვის;
- ახდენდეს ეფექტიან რეაგირებას საზოგადოების მხრიდან მოსამართლისადმი გამოთქმულ პრეტენზიებზე და დასაბუთებულ პასუხს უბრუნებდეს საზოგადოებას;
- იცავდეს მოსამართლის უფლებებს;
- იყოს გამჭვირვალე და საჯარო იმ ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს დისციპლინური სამართალწარმოების, მოსამართლის უფლებების დაცვის და საზოგადოების ინტერესები;
- ადგენდეს სამართლიან ბალანსს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის.

2012 წლამდე საერთო სასამართლოების დისციპლინური სისტემა სრულად დახურული იყო. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები არ ქვეყნდებოდა, რის გამოც მოსამართლეებს და საზოგადოებას არ ჰქონდათ ინფორმაცია, რა გადაცდომები ისჯებოდა პრაქტიკულად და რა სიმკაცრით; არ არსებობდნენ დისციპლინურ საქმეთა გამოძიების ან

არსებითი განხილვის ორგანოები, რომლებსაც ექნებოდათ დამოუკიდებლობის თუნდაც ფორმალური გარანტიები. დისციპლინური სისტემა (ისევე, როგორც სხვა ადმინისტრაციული ბერკეტები) ხშირად გამოიყენებოდა პოლიტიკურად ურჩი მოსამართლეების დაშინებისა და დამორჩილების მიზნით.

2013-2019 წლებში კანონმდებლობაში დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, დისციპლინური ორგანოების დამოუკიდებლობისა და მოსამართლის უფლებების გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა. მათ შორის, შეიქმნა დისციპლინური საქმის გამოძიებისა და არსებითი განხილვის ახალი ორგანოები, ახლებურად ჩამოყალიბდა დისციპლინური გადაცდომების სისტემა, დადგინდა დისციპლინური გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 13 დეკემბრის ცვლილებებით დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალიდან ამოიღეს „სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა“ და „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. კანონმდებლობით გაიწერა სამოსამართლო ეთიკის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც იწვევს დისციპლინურ გადაცდომას. დღეისათვის საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 751 მუხლი მოიცავს 21 სახის დისციპლინურ გადაცდომას, რომლებიც არღვევს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, კეთილსინდისიერების, წესიერების, თანასწორობისა და გულისხმიერების პრინციპებს ან სხვა მხრივ აზიანებს სასამართლოს ავტორიტეტს. 2019 წელს აღნიშნული ცვლილებების უმრავლესობა დადებითად შეფასდა როგორც სამოქალაქო სექტორის, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

მეორე მხრივ, მძაფრი კრიტიკა დაიმსახურა 2021 წლის დეკემბერში საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა, რომელიც შეეხება:

- მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევას;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმს, რომელიც შემცირდა 2/3-დან უბრალო უმრავლესობამდე;
- დისციპლინური დევნის დაწყების შემთხვევაში, კონკრეტული საქმეების განხილვიდან მოსამართლის ჩამოცილების შესაძლებლობას.

აღნიშნული ცვლილებები შეფასდა, როგორც მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შემზღუდავი დამატებითი ბერკეტი სასამართლო მმართველობაში მყოფი დომინანტური ჯგუფის – კლანის ხელში.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ რეგულაციების ცვლილება არ არის საკმარისი სანდო და ეფექტიანი დისციპლინური სისტემის შესაქმნელად. მაშინ, როცა 2012 წლამდე

დისციპლინური სისტემა იყო მეტისმეტად მკაცრი და ორიენტირებული მოსამართლეების დასჯისა და მათი გადაწყვეტილებების კონტროლისკენ, 2012 წლის შემდეგ სისტემას ახასიათებს დამოუკიდებლობის ნაკლებობა, კორპორატივიზმი და ფავორიტი მოსამართლეების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. დისციპლინურ სისტემას არ აქვს სანდოობის სათანადო ხარისხი, რის გამოც მართლმსაჯულების სისტემის მომხმარებლები, განსაკუთრებით ადვოკატები თავს იკავებენ დისციპლინური საჩივრების შეტანისგან.

დღეისათვის დისციპლინურ საქმეებს აწარმოებენ შემდეგი ორგანოები:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი (აწარმოებს დისციპლინური საქმეების წინასწარ შემოწმებას და მოკვლევას);
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო (წყვეტს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის საკითხს, მხარს უჭერს დისციპლინურ დევნას);
- საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია (არსებითად იხილავს დისციპლინურ საქმეებს);
- უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა (იხილავს საჩივრებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე).

ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მოსამართლემ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ ინსპექტორს. ყოველწლიურად დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს 130-დან 320-მდე დისციპლინურ საჩივარს, თუმცა ამ საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა წყდება დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების ან მოკვლევის ეტაპზე და არსებით განხილვამდე ვერ აღწევს.

2013-2022 წლებში საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ 16 დისციპლინური საქმე განიხილა. აღნიშნული საქმეები ეხებოდა შემდეგ დისციპლინურ გადაცდომებს:

- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა - 3;
- მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვან შესრულება (2019 წლის შემდეგ აღნიშნული აღარ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას) - 5;
- საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება - 4;
- პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემლობის გამოხატვა - 1;
- მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითააცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით დადგენილი საფუძველი - 1.

მოცემულ პერიოდში სადისციპლინო კოლეგიამ გამოიტანა 9 გამამტყუნებელი და 5 გამამართლებელი გადაწყვეტილება. 2 საქმეზე დისციპლინური დევნა შეწყდა დევნის

ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. რაც შეეხება დისციპლინურ სანქციებს, 2013-22 წლებში სადისციპლინო კოლეგიამ გამოიყენა

- 5 კერძო სარეკომენდაციო ბარათი;
- 1 საყვედური;
- 3 შენიშვნა.

წარმოგიდგენთ თითოეულ ამ გადაწყვეტილებას, მოკლე შეჯამების სახით.

საქმე №1/03-12 (2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება)

გადაწყვეტილების ზეპირი განმარტებისას მოსამართლემ მოსამართლისთვის შეუფერებელი ფორმით ფამილიარულ კონტექსტში მოიხსენია მხარის წარმომადგენელი. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით, მოსამართლემ ჩაიდინა სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა და მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება. მოსამართლეს დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება: კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

საქმე №1/04-12 (2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება)

მოსამართლემ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გადაწყვეტილების გასაჩივრების 7-დღიანი ვადის ნაცვლად მიუთითა 14 დღე. მოსამართლეს ბრალად ედებოდა მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება (აღნიშნული გადაცდომა დღეისათვის ამოღებულია დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალიდან). სადისციპლინო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსამართლის ქმედება წარმოადგენდა არა დისციპლინურ გადაცდომას, არამედ სამოსამართლო შეცდომას და მოსამართლე პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა. სადისციპლინო კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსამართლის შეცდომასა და დისციპლინურ გადაცდომას შორის ზღვრის გავლებისას მხედველობაშია მისაღები შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა, მისი ხარისხი, განმეორებითი და არაერთგზისი ხასიათი, მოსამართლის კეთილსინდისიერება, მისი მოტივი.

საქმე №1/01-15 (2016 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება)

მოსამართლემ დაცვის მხარეს მიმართა სიტყვებით: „მე მინდა, როგორც იურისტებს განგიმარტოთ, რომ თქვენი იურიდიული აზროვნება რაღაც ძალიან შემაშფოთებელია, მარტივად რომ ვთქვათ. არაკომპეტენტურობაზე აღარ ვლაპარაკობ არაფერს“.

ხოლო მას შემდეგ, რაც კოლეგიის წევრმა მოსამართლეებმა დააკმაყოფილეს დაცვის მხარის შუამდგომლობა, მან განაცხადა: „მე მაშფოთებს ის პრეცედენტი, რაც ჩვენ ახლა შევქმენით. ეს არის ძალიან ცუდი პრეცედენტი. სამწუხაროდ, ჩემმა კოლეგებმა, პირდაპირ ვამბობ, რომ

მიიღეს აბსოლუტურად არასწორი გადაწყვეტილება ამ პრეცედენტის შექმნასთან დაკავშირებით“.

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით, მოსამართლე ცნეს ბრალეულად სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევისათვის და დისციპლინური სანქციის სახით დაეკისრა საყვედური.

საქმე №1/01-16 (2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება)

დისციპლინური ბრალდების თანახმად, სამოქალაქო საქმის განხილვისას მთავარ სხდომაზე მოთხოვნის გაზრდით დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნები, რადგან სასამართლოს მთავარ სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნის გაზრდისათვის აუცილებელია მოპასუხე მხარის თანხმობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ ყოფილა.

სადისციპლინო კოლეგიამ ამ ეპიზოდში მოსამართლე გაამართლა და აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების ან გაზრდის შესახებ მოსარჩელის შუამდგომლობის დაკმაყოფილება/დაუკმაყოფილებლობა არ შეიძლება მიიჩნიონ მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედებად, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას.

დისციპლინური ბრალდების მეორე ეპიზოდის თანახმად, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე საქმეზე ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღებით უგულებელყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, რითაც ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა: მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება. აღნიშნულ ეპიზოდში მოსამართლე გამტყუნდა და დისციპლინური სახდელის სახით დაეკისრა შენიშვნა.

საქმე №1/01-17 (2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება)

სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენების 5-6 თვის (ან მეტი ვადის) დაგვიანებით მომზადება და მხარისთვის გადაცემა, ასევე ზემდგომ ინსტანციაში საქმის 5-6 თვის (ან მეტი ვადის) დაგვიანებით გადაგზავნა მიიჩნიეს მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვან შესრულებად.

მოსამართლემ ასევე დაარღვია პატიმრობის კოდექსის იმპერატიული მოთხოვნა და არ გასცა ნებართვა მსჯავრდებულის მიერ სატელეფონო საუბრების განხორციელების შესახებ, რითაც მსჯავრდებულს შეეზღუდა კანონით მინიჭებული უფლება. მოსამართლემ ასევე ვერ უზრუნველყო მსჯავრდებულისათვის სასამართლო სხდომის ოქმებისა და სტენოგრაფიული ჩანაწერების სრულყოფილად და გონივრულ ვადაში გადაცემა; აღნიშნული დოკუმენტები მხარეს გადაეცა ორი თვის დაგვიანებით, რითაც დაირღვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა.

ბრალდების ერთ ეპიზოდში, რომელიც ეხებოდა საქმის განხილვის გაჭიანურებას მოსამართლე გამართლდა, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ განხილული საქმე არ წარმოადგენდა საპატიმრო საქმეს, ანუ მსჯავრდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით არ ჰქონდათ შეფარდებული პატიმრობა. მოცემული საქმის განხილვა ყველა ჯერზე გადაიდო საქმეში მონაწილე პროკურორების შუამდგომლობით, მოწმეთა წარმოუდგენლობის გამო; ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქმეზე არაერთხელ შეიცვალა ბრალდების მხარდამჭერი პროკურორი, ხოლო თითოეული მათგანი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობდა საქმის გაცნობის შესახებ გონივრული ვადის გამოყოფას. სასამართლო სხდომა არაერთხელ გადაიდო, თავად ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო. მოსამართლეს საქმე არც ერთ ეტაპზე არ დაუტოვებია უმოქმედოდ, ანუ გარკვეული საპროცესო მოქმედების გარეშე. საქმის განხილვის გადადებით არ შეზღუდულა პროცესის მონაწილე მხარეთა უფლებები და საქმის განხილვის გაჭიანურება არ ყოფილა გამოწვეული მოსამართლის ბრალით.

მოსამართლე ცნეს ბრალეულად მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობისა და არაჯეროვნად შესრულებაში და დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – შენიშვნა.

საქმე № 2/01-2018 (2018 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება)

მოსამართლემ სამოქალაქო საქმეთა განხილვისას დაარღვია საქმეების განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადები; კერძოდ, ერთი საქმის განხილვა დაასრულა 2 წლისა და 4 თვის ვადაში; მეორე შემთხვევაში რაიმე საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია 1 წლისა და 10 თვის ვადაში, ხოლო მესამე საქმეში მხარეს მიღებული განჩინება გაუგზავნა გამოტანიდან 9 თვისა და 20 დღის შემდეგ.

სადისციპლინო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსამართლის მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება არ არის ინსპირირებული დანაშაულებრივი ნიშნებით და მეტწილად გამოწვეულია მის წარმოებაში არსებულ სამოქალაქო საქმეთა სიმრავლით, მისი მცირე სამოსამართლო გამოცდილებით, ამასთან უფლებამოსილების განხორციელება პერიოდულად უწევდა მოსამართლის თანაშემწის გარეშე. გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია, რომ მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მოსამართლე - პარალელურად უწევდა სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განხორციელება ადმინისტრაციული საქმეებზე და ასევე ევალებოდა მაგისტრანტი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება - მუნიციპალიტეტში.

მოსამართლე ცნეს ბრალეულად საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაში და მის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

№ 3/01-2018 (2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება)

მოსამართლემ სამოქალაქო საქმის განხილვას მოანდომა წელიწადი და ხუთი თვე; ამასთან, 5, 7 და 5 თვის შუალედებით განახორციელა საპროცესო მოქმედებები და სადისციპლინო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვის აღნიშნული გაჭიანურება არ არის ინსპირირებული დანაშაულებრივი ნიშნებით და მეტწილად ემყარება ლოგიკურ არგუმენტაციას, როგორც არის სასამართლოს შიდა ფაქტორი, კერძოდ, მოსამართლის გადატვირთულობა და მოსამართლეთა ნაკლებობა, ანუ ეფექტიანი მართლმსაჯულებისათვის საჭირო მოსამართლეთა დეფიციტი. აღნიშნულზე მეტყველებს მოსამართლის - მიერ წარმოდგენილი მონაცემები მისი დატვირთულობის შესახებ, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებს სადავოდ არ გაუხდიათ. დისციპლინურ ბრალდებაში მოსამართლე გამართლდა.

საქმე № 4/01-2018 (2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება)

მოსამართლემ საქმეში მონაწილე მხარეს მიმართა ირონიული გამოთქმებით, მათ შორის სიტყვებით: „დასაბუთება, რა თქმა უნდა იქნება. ამას არ დაგამადლით“. მოსამართლე ცნეს ბრალეულად სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევისთვის და დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

საქმე № 5/01-2018 (2019 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება)

ადმინისტრაციული საქმის განხილვისას წელიწად-ნახევრის განმავლობაში მოსამართლეს რაიმე საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია. სადისციპლინო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსამართლის - მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება არ არის ინსპირირებული დანაშაულებრივი ნიშნებით და მეტწილად გამოწვეულია მის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლით; ამასთან, უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში, აპარატში ჰყავდა მხოლოდ ერთი მოხელე, რომელიც ასრულებდა როგორც თანაშემწის, ისე სხდომის მდივნის ფუნქციებს. გარდა აღნიშნულისა, მოსამართლეს პარალელურად უწევდა სხვადასხვა საპროცესო მოქმედების განხორციელება - როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, აღკვეთის ღონისძიებებისა და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. მოსამართლე ცნეს ბრალეულად საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაში და დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

საქმე № 2/0-2019 (2019 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება)

სამოქალაქო საქმის განხილვისას მოსამართლემ დაარღვია დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის ვადა; კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლით გათვალისწინებული 1-თვიანი ვადა დაარღვია 8 თვით და 8 დღით.

განსახილველ შემთხვევაში სადისციპლინო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო მოსამართლის გადატვირთულობა და მოსამართლეთა ნაკლებობა და მოსამართლის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი გადაწყვეტილება.

საქმე № 3/0-2019 (2019 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება)

მოსამართლემ დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარების 1-თვიანი ვადა დაარღვია, 5 თვის გადაცილებით.

განსახილველ შემთხვევაში სადისციპლინო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო მოსამართლის გადატვირთულობა და მოსამართლეთა ნაკლებობა და მოსამართლის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი გადაწყვეტილება.

(სადისციპლინო კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსამართლეს 2015-2017 წლებში განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით 579 საქმე, დასრულდა 634 საქმე (109.4%).

საქმე № 5/01-2019 (2019 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება)

მოსამართლემ დაარღვია განაჩენის ასლის მსჯავრდებულისათვის გადაცემის ვადა – ნაცვლად 14 დღისა, განაჩენის ასლი გადაეცა ერთი თვისა და 14 დღის ვადაში. მოსამართლემ, ასევე, საქმე სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნა სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარდგენიდან 3 თვესა და 16 დღეში. განსახილველ შემთხვევაში სადისციპლინო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოება:

- მოცემულ საქმეზე მოსამართლის მხრიდან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, კერძოდ საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, გამოვლინდა, რომ სასამართლო სხდომის ოქმის აუდიოჩაწერა განხორციელდა ხარვეზით; კერძოდ, არ ისმინებოდა საქმის არსებითი განხილვისას მოწმის სახით დაკითხულ პირთა ჩვენებები, რომლებიც საჭირო იყო სასამართლო განაჩენის მოსამზადებლად; შედეგად აუცილებელი გახდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობის აუდიო-ვიდეოჩაწერი სისტემის გამოყენებით სხდომის ოქმის ბეჭდური ვერსიის შექმნა, რასაც დასჭირდა გარკვეული დრო.

სადისციპლინო კოლეგიამ ასევე მხედველობაში მიიღო ის, რომ 2017 წელს მოსამართლეს განსახილველი ჰქონდა სულ 881 საქმე, რომელთაგან დაასრულა 762 (86%). სადისციპლინო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე მოსამართლის მხრიდან მსჯავრდებულისათვის

განაჩენის ასლის გადაცემის ვადის დარღვევა და სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო სასამართლოში დაგვიანებით გადაგზავნა არ არის ინსპირირებული დანაშაულებრივი ნიშნებით და შესაბამისად, მას არ მიუძღვის ბრალი აღნიშნულ დისციპლინურ გადაცდომაში. შესაბამისად, წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში (მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება) მოსამართლე გამართლდა.

საქმე № 1/01-2020 (2020 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება)

მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მხარის შუამდგომლობის გარეშე შეაჩერა მოწმის დაკითხვა და ადვოკატს მოსთხოვა შემდეგი სახის განმარტება – „იქნებ, კავშირი და ბმა ახსნათ? 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით ვიხილავთ საქმეს; თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი ედება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში; ამ განმარტებას მოწმეს უკეთებს სასამართლო და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მაშინ, როცა ადვოკატი უსვამს კითხვას მოწმეს, თუ რა იცის განსახილველ საქმესთან მიმართებაში, ყველა მოწმე იწყებს საუბარს იმაზე, რომ — ჰყავდა მეუღლე; იქნებ, ახსნათ, რა შუაშია ეს ყველაფერი 260-ე მუხლთან მიმართებაში... თქვენ სთხოვთ მოწმეს, დაიწყოს თხრობა, ანუ თქვენ წინასწარ გყავდათ დარიგებული მოწმე, თუ რაზე უნდა ისაუბროს?“

სადისციპლინო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსამართლე ამგვარი მოსაზრებითა და მიმართვის ფორმით გასცდა ნეიტრალური არბიტრის ფუნქციას და გამოხატა აშკარა უკმაყოფილება და უპატივცემულობა პროცესის მონაწილე მხარისადმი. მოსამართლე ცნეს ბრალეულად სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვისთვის და დაეკისრა დისციპლინური სახდელი – შენიშვნა.

საქმე №2/01-2020 (2020 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება)

მოსამართლემ განიხილა კერძო საჩივარი საქმეზე, რომელშიც წარმომადგენლის სახით მონაწილეობდა მისი მეუღლე. სადისციპლინო კოლეგიის განმარტებით, მოსამართლე ვალდებული იყო, განეცხადებინა თვითაცილება და არ მიეღო მონაწილეობა კერძო საჩივრის განხილვაში. სასამართლოს მოსამართლე ცნეს ბრალეულად დისციპლინურ გადაცდომაში (მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი) და დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება – კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

საქმე №2/01-17 (სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება)

საქმე № 1/01-18 (სადისციპლინო კოლეგიის 2018 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება)

აღნიშნული საქმეები ეხებოდა 2004-05 წლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე დისციპლინური წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო (ვინაიდან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა). სადისციპლინო კოლეგიამ აღნიშნულ

საქმეებზე წარმოება შეწყვიტა, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

რეალობა, რომელიც ბრალდების შესახებ დადგენილებას გამამტყუნებელ განაჩენს უტოლებს

მეგი შამათავა



საქართველოში სისხლის სამართლის საქმეთა, დაახლოებით 50%-ში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს უფარდებენ და ეს სტატისტიკა წლებია, მნიშვნელოვნად არ იცვლება. გირაო ერთ-ერთია აღკვეთის ღონისძიების სახეებს შორის, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის განსაზღვრული. ზოგადად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება შემდეგი მიზნით:

- ბრალდებულმა არ აარიდოს თავი სასამართლოში გამოცხადებას;
- აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა;
- უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება.

„თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.“¹ ანუ იმისათვის, რომ შეიცვალოს გირაო (როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე) უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, საჭიროა ორიდან ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა:

¹ მუხლი 200, მე-7 ნაწილი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

1. ბრალდებულმა არ შეასრულოს პირობა, რაც შეიძლება გამოიხატოს გირაოს გადაუხდელობაში ან სასამართლოს მიერ დადგენილი გირაოს გამოყენების პირობის შეუსრულებლობაში;
2. ბრალდებულმა დაარღვია კანონი, მაგალითად, ჩაიდინა ახალი დანაშაული; ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ან სამოქალაქო ურთიერთობის ფარგლებში დაარღვია კანონის მოთხოვნები.

ამდენად, ამ ორი საფუძვლიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც კი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით.

რას ნიშნავს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება?

სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს, თუკი ბრალდებულის სათანადო ქცევის მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. ამდენად, პატიმრობა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახეა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საკითხი დგას, ის უნდა შეიცვალოს მხოლოდ პატიმრობით, რადგან აღკვეთის ღონისძიებების სხვა სახეები (შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა, რომელიც მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეს ეხება) თავისი შინაარსითა და ადამიანის უფლებებში ჩარევის ინტენსივობით არათუ უფრო მკაცრი, არამედ გაცილებით მსუბუქია.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო და კანონის დარღვევის (მაგალითად ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში) გამო შეეცვალა გირაო პატიმრობით.

საინტერესოა, რა იგულისხმება „ახალი დანაშაულის ჩადენის“ ქვეშ? კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ ბრალდების შესახებ დადგენილება?

ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმფციის თანახმად, პირი დამნაშავედ (ამ შემთხვევაში, ახალი დანაშაულის ჩადენაში) მხოლოდ მაშინ შეიძლება მიიჩნიონ, როდესაც მისი ბრალეულობა დადგინდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. აღნიშნული პროცესი იმდენად დიდ დროს მოითხოვს, რომ ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევას ვერც ბრალდების მხარე და ვერც სასამართლო ვერ დაელოდება. ამიტომაც, პრაქტიკაში, აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვისას ახალი დანაშაულის ჩადენას ადგენს არა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, არამედ ბრალდების შესახებ დადგენილება. ბრალდების შესახებ დადგენილების გათანაბრება გამამტყუნებელი განაჩენთან იმდენად წინააღმდეგობრივ რეალობას ქმნის, რომ მისი პრაქტიკაში გამოყენება შეუძლებელი ხდება.

მეორე მხრივ, თუკი ბრალდების შესახებ დადგენილება უტოლდება კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენს, ეს ნიშნავს კანონის ბრალდებულის საწინააღმდეგოდ განმარტებას, რაც არასამართლიანია. გარდა ამისა, ბრალდების მხარეს ენიჭება ზედმეტად ფართო შესაძლებლობა, მარტივად, ბრალდების შესახებ დადგენილების საფუძველზე, მოითხოვოს შეეცვალოს ბრალდებულს გირაო პატიმრობით.

თეორიულად, ამ პირობებში, საუკეთესო იქნებოდა, თუკი ბრალდების მხარე, ყველა შემთხვევაში, ყოველმხრივ გამოირკვევს საქმის გარემოებებს და მის ხელთ არსებულ ზემოაღნიშნულ ბერკეტს ბოროტად არასოდეს გამოიყენებს. მაგრამ, ეს მხოლოდ თეორიაა. და ამ თეორიის დაშვებითაც კი, ყოველ ჯერზე, როდესაც ბრალდების შესახებ დადგენილების საფუძველზე, ბრალდებულისთვის შეფარდებული გირაო იცვლება პატიმრობით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კანონიერების პრინციპის დაცვა.

ზოგადად, ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა უნდა აკმაყოფილებდეს განჭვრეტადობის კრიტერიუმს. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრია, როდესაც სასწორზე ადამიანის ძირითადი უფლება - თავისუფლება დევს. აუცილებელია, სამართლებრივი ნორმა იყოს კანონიერი და სამართლიანიც და ამასთან, ცხადი.

განხილული დებულება განსაზღვრავს პირობას, რომლის დადგომის შემთხვევაშიც, აღკვეთის ღონისძიება ვეღარ აღწევს მიზანს - ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და, ამ მოტივით, ის იცვლება ადამიანის დაპატიმრებით, რაც ლოგიკურია და მიზანშეწონილი; მაგრამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საკმარისად გასაგებად არ ადგენს, როგორ უნდა შევაფასოთ, რომ გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის პირობა (კანონის დარღვევა) დადგა.

სასამართლო - ეკონომიკის ფარული მტერი თუ მეგობარი?!

დავით კლდიაშვილი



იურისტსა და სამართლის ეკონომიკური ანალიზის მაგისტრანტ დავით კლდიაშვილს საბანკო სფეროსთან თანამშრომლობის თერთმეტწლიანი გამოცდილება აკავშირებს. სწორედ ამ გამოცდილების გათვალისწინებით გადაწყვეტეთ მასთან ინტერვიუს ჩაწერა.

- როგორაა ერთმანეთთან დაკავშირებული სასამართლოს დამოუკიდებლობა და ბიზნესის თავისუფლება? რა კორელაცია არსებობს?

- სანამ უშუალოდ ეკონომიკის განვითარებაში სასამართლოს მნიშვნელობაზე დავიწყებთ საუბარს, უნდა აღვნიშნოთ, ზოგადად, რა კავშირშია სამართალი და ეკონომიკა ერთმანეთთან. ხშირად ვამბობთ, რომ სამართალი ეკონომიკისთვის შეიძლება იყოს ფარული მტერი ან საუკეთესო მეგობარი. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როცა ბიზნესი საქმიანობას წარმართავს სამართლის ფარგლებში. მათთვის მნიშვნელოვანია, მათ მიერ დადებული გარიგებები (ბიზნესის დაწყება, შრომითი ურთიერთობები, პროდუქციის რეალიზება და ა.შ.) სამართალმა გახადოს ქმედითი. რომ არა სამართალი, ეს ტრანზაქციები ქმედითი ვერ იქნებოდა – არ ექნებოდა სავალდებულო ძალა.

ამრიგად, სამართალი ბიზნესისთვის, და შესაბამისად, ეკონომიკისთვის, მთავარი მამოძრავებელი ძალაა. სამ ნაწილად რომ დავყოთ, ეს არის: მატერიალური ნორმები, რომელთა საფუძველზეც სამართლებრივ ურთიერთობაში შევდივართ, მეორე – დავის

განხილვა და გადაწყვეტა, მესამე – ასე ვთქვათ, დამდგარი შედეგის აღსრულება. დავას ხომ აზრი არ ექნება, თუ გადაწყვეტილება არ ან ვერ აღსრულდა?!

- განვმარტოთ, რა როლი აქვს სასამართლოს ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში?

- დავიწყოთ კომპეტენციის საკითხით. სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს ე.წ. ex-ante ფუნქცია, ეს ნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას ახდენს ბიზნესის, ანუ ეკონომიკური აგენტების მომავალ ქმედებებზეც, კონკრეტული ტიპის ბიზნესურთიერთობებზე. როცა ვამბობთ, რომ სასამართლოს კომპეტენციის პრობლემა აქვს, ვგულისხმობთ, რომ მოსამართლეს ხშირად არ აქვს შესწავლილი კონკრეტული ტიპის ბიზნესურთიერთობების სპეციფიკა. რა თქმა უნდა, გამონაკლისები არსებობს. მკითხველმა არ იფიქროს, რომ ეს პრობლემა ყველა მოსამართლეს აქვს, მაგრამ თუ არაკვალიფიციური გადაწყვეტილება ბევრია, ზოგადად, სისტემაზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ არაკვალიფიციური და არაეფექტიანია. არსებობს საქმეები, რომლებშიც აშკარად ჩანს, რომ მოსამართლე არ ითვალისწინებდა კონკრეტული ბიზნესურთიერთობის ბუნებას (რისგან შედგებოდა, რა იყო რისკი და ამ გადაწყვეტილებას მომავალში რა შედეგი მოჰყვებოდა). ასევე, მოსამართლე არ ითვალისწინებდა, რამდენად ეფექტიანად აღსრულებადი იქნებოდა მისი

გადაწყვეტილება. ასეთია, მაგალითად, საბანკო ბარათის გამოყენებასთან, იპოთეკის ბათილობასა და არასრულწლოვანის მიერ ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემაზე დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

გადავიდეთ შემდეგ პრობლემაზე. ასეთია, მაგალითად, დროში გაწეილი სასამართლო პროცესები. ეკონომიკაში არსებობს – ტრანზაქციული დანახარჯები და ოქროს წესი, რომ რაც უფრო დაბალია ეს დანახარჯები, მით უფრო სწრაფად ვითარდება ეკონომიკა, მით უფრო შემოდის ინვესტიციები და ა.შ. ამ საფასურის ერთ-ერთი ნაწილია სავარაუდო დავა – რამდენად ეფექტიანად და სწრაფად დასრულდება ის; რამდენად დაცულია დავის განმხილველი სისტემა გარე ჩარევებისაგან.

საქართველოში ძალიან მაღალი ტრანზაქციული დანახარჯები გვაქვს. ამას ისიც განაპირობებს, რომ სასამართლო პროცესები დროში არალოგიკურად დიდხანს იწელება. მარტივი მაგალითი წარმოვიდგინოთ: თქვენ გაასხვისეთ პროდუქცია და უნდა მიგელოთ თანხა, მეორე მხარემ კი ეს ვალდებულება არ შეასრულა. თქვენ მიდიხართ სასამართლოში, მას თანხა რომ მოსთხოვოთ, დავა კი დროში იწელება.

კიდევ ერთი მარტივი მაგალითი იჯარაა. დღეს საქართველოში საიჯარო ურთიერთობა ძალიან აქტუალურია – უცხო ქვეყნების ბევრი მოქალაქეა შემოსული. საქართველოს მოქალაქეები მათზე ბინებს აქირავებენ. როგორც იცით, დღევანდელი კანონმდებლობით, თუკი მოქირავნე არ იხდის თანხას და თავისი ნებით სახლსაც არ ტოვებს, გამქირავებელმა სასამართლოს უნდა მიმართოს მის გამოსასახლებლად. ასეთ შემთხვევებში, პირველი შეკითხვა, რაც უჩნდებათ, ვადას შეეხება – რამდენი ხანი გაგრძელდება ეს საქმე? მიუხედავად იმისა, რომ კანონში განხილვისთვის სავალდებულო მცირე ვადა წერია,

პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ საუკეთესო შემთხვევაში წელიწადი, წელიწად-ნახევარი მაინც გრძელდება პროცესი პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამას დავამატოთ, თუ მეორე და მესამე ინსტანციებში გასაჩივრდა და ყველაზე მნიშვნელოვანი – აღსრულების მომენტი.

წარმოიდგინეთ, როგორ ფერხდება ამით საიჯარო ურთიერთობები. შეიძლება, რაღაც პერიოდის განმავლობაში შენი ქონება აბსოლუტურად უფუნქციო გახდეს – ვიღაც ცხოვრობდეს და მისგან სარგებლის მიღების შანსიც არ გქონდეს და ყველაზე მნიშვნელოვანი – ეს გვიბიძგებს, გავიდეთ სამართლებრივი ჩარჩოდან. თუ სასამართლო ეფექტიანი არაა (იგულისხმება დროის, ასევე კომპეტენციისა და თავისუფლების ასპექტი), ვირჩევთ არასამართლებრივ გზებს.

- კონკრეტულად რას გულისხმობთ?

- მაგალითად, მქონდა შემთხვევა, როდესაც პირი მეუბნებოდა, რომ დამქირავებელი არ იხდის თანხას და არც სახლიდან გადის, მე კი ვეუბნები, სასამართლოში უნდა წახვიდეთ-მეთქი, მაგრამ პროცესი წელიწად-ნახევარი ან ორი წელი გაიწელება, ის მიდის და ფიზიკური დაპირისპირებით ცდილობს, გამოასახლოს. ეს უკვე დანაშაულია. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც ხშირად გვაფიქვდება: არაეფექტიანი სასამართლო სამართლებრივი ჩარჩოდან გასვლისკენ გვიბიძგებს. ადამიანებს გვაქვს სამართლის მოთხოვნილება. სახელმწიფომ კი ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა უზრუნველყოს.

- ამ მაგალითის უფრო მსხვილ გარიგებებზე გადატანა რელევანტურია?

- რა თქმა უნდა, მაგალითად, ხშირია კორპორაციული დავა მოწილეებს შორის, ვის რამდენი პროცენტი და მოგების რა ნაწილი ეკუთვნის. რაც უფრო დიდია გარიგება, უფრო რთული და მძიმე შედეგი აქვს დავის სამართლებრივი ჩარჩოების მიღმა გადატანას. შემდეგი საკითხია ე.წ. კლანური მმართველობა სასამართლოში. ხშირად მილაპარაკია ამ თემაზე. ერთადერთი, ვინც ამას არ აღიარებს, თავად სასამართლო და სახელმწიფოა. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან დაწყებული (რომლებიც „ვოჩდოგების“ /მეთვალყურის როლს ასრულებენ), დამთავრებული აშშ-ის საელჩოთი კი, ყველა ამბობს, რომ სასამართლო გავლენისგან თავისუფალი არ არის. ლოგიკურია, რომ სასამართლო და სახელმწიფო თავიანთ თავზე არ იტყვიან, რომ ასეთი პრობლემებია სისტემაში, მაგრამ ყველა გარე დამკვირვებელი ამაზე მიაჩნის.

- ამ პრობლემაში პოლიტიკის წილი რამდენია?

- კონკრეტულ პროცენტობაზე ლაპარაკი ძალიან რთულია. კლანის არსებობას უშვებს სახელმწიფო, ანუ – პოლიტიკური ჯგუფი. კონკრეტული სარგებელი რომ არ არსებობდეს, ასე არ იქნებოდა. სხვა რა მოტივი უნდა გქონდეს, რომ, როგორც პოლიტიკურმა ჯგუფმა, კლანის არსებობა დაუშვა?!

სისხლის სამართლის საქმეებზე უფრო ხშირად საუბრობენ. მაგალითად, ნიკა გვარამიას პროცესი გავიხსენოთ – ისეთი მუხლით ასამართლებენ და უსჯიან, რომლითაც თითქმის არავინ მახსენდება რომ დაეკავებინათ. ასეთი საქმეები წინა პლანზე გამოდის და მედიის ყურადღების ქვეშ ექცევა, მაგრამ ამის უკან ასობით საქმეა, რომელიც ძალიან მარტივ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს ეხება და მასში მიუკერძოებლობის რისკები არსებობს.

ცუდია, რომ ამაზე საჯარო საუბარს ყველა ერიდება. არავინ ამბობს, მაგალითად, რომ კონკრეტულ საქმეში მიუკერძოებლობის კვალს წააწყდნენ. თუ მეორე მხარე „ალაგებს“, თვითონაც ამ გზით წასვლას ცდილობენ, ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოს პრობლემაზე ღიად ისაუბრონ.

ბიზნესი, ვითარებას მოკლევადიანი პერსპექტივიდან განიხილავს. მისი მოტივაცია სისტემის გაუმჯობესება კი არაა, არამედ ცდილობს კონკრეტული ინტერესი დაიკმაყოფილოს იმ მომენტში.

ამ პრობლემას კარგად ხსნის ე.წ. თამაშების თეორია. რომ წარმოვიდგინოთ – თუ ყველა ბიზნესი ერთდროულად გადაწყვეტს, რომ კარგი სასამართლო სისტემა უნდათ, მეორე დღეს გვექნება კიდეც. მაგრამ აქ არსებობს შიში: შეიძლება, მე გამოვხატო პრეტენზია, მაგრამ სხვები არ ამიბამენ მხარს, შესაბამისად, ისევ მე გამოვალ წაგებული. კიდეც ერთი ფაქტორი: ქართული სასამართლოსთან დაკავშირებული შეკითხვები ცნობილია უცხოელი ინვესტორებისთვისაც კი. ყველა მათგანი, ვისთანაც კერძო პრაქტიკით მქონდა შეხება, ამბობს, რომ მათ ეს იციან და ამიტომ აფასებენ მაღალრისკიანად აქ ინვესტირებას.

რატომ უნდა ყველა ბიზნესმენს, რომ მათი დავა საერთაშორისო არბიტრაჟმა განიხილოს? იმიტომ, რომ საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა არ არსებობს. ასევე, პრობლემა უშუალოდ მოსახლეობის მიერ აღქმადი არ არის. მათ არ აქვთ სასამართლოსთან ყოველდღიური შეხება. ინტერვიუს დასაწყისში ვახსენე ფარული მტერი და ფარული მოკავშირე. ხაზი „ფარულს“ გავუსვი. ფარული ნიშნავს, რომ პირდაპირ არ ვლინდება. მარტივი მაგალითი ავიღოთ: სოციოლოგიურ კვლევებში მთავარ პრობლემად ჩანს უმუშევრობა ან ეკონომიკური გაჭირვება, სასამართლოს დამოუკიდებლობა კი სიის თითქმის ბოლოშია ხოლმე. აღქმის დონეზეა ასე, მაგრამ, სინამდვილეში, პირიქითაა – უმუშევრობა და ეკონომიკური გაჭირვება მხოლოდ გამოვლინებაა პრობლემის, რაც სასამართლოშია. რიგით მოქალაქეს მართალია, აწუხებს ამ პრობლემის გამოვლინება, მაგრამ მისი დაკვეთა ჯანსაღი სასამართლო არ არის, რითაც სახელმწიფო სარგებლობს.

ჩემი აზრით, მთავარი მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება მარტივად და გასაგებად ავუხსნათ მაქსიმალურად ფართო სპექტრს, რომ მათი პრობლემები სინამდვილეში მხოლოდ შედეგია და მიზეზი სხვაგან არის.

- მოდით, კომპეტენციის საკითხზე უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ. ბიზნეს დავას, ძირითადად, ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეები განიხილავენ. კარგია ეს თუ ცუდი?

- პრინციპის დონეზე ვიწრო სპეციალიზაციის არსებობა აუცილებელია. არ შეიძლება, მაგალითად, საოჯახო დავა და საბანკო ურთიერთობების საქმე ერთმა მოსამართლემ განიხილოს. ამას სათანადო ხარისხი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ექნება. ფიზიკურად შეუძლებელია, კონკრეტულმა მოსამართლემ სამართალი ასე სიღრმისეულად იცოდეს ყველა მიმართულებით. თეორიულად კარგია, მოსამართლეები სპეციალიზებულნი რომ იყვნენ, მაგრამ სიღრმეებში თუ შევალთ, ორი კითხვა ჩნდება: რამდენად საკმარისია იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომლებიც კონკრეტული ტიპის დავას იხილავენ და მეორე – თავად ამ მოსამართლეების კომპეტენცია რამდენად შეეფერება განსახილველ დავას. სასამართლო იერარქიაში რაც უფრო მაღლა მივიწევთ, რა თქმა უნდა, მეტი კომპეტენცია მოგვეთხოვება. ისე არ გამოგვივიდეს, რომ პირველ ინსტანციაში განსაკუთრებულად არაკომპეტენტური მოსამართლეები გვყავს. არა, არიან პირველი ინსტანციის კარგი მოსამართლეები.

ასევე, მოსამართლეები, რომლებსაც, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი საკამათო გადაწყვეტილება აქვთ მიღებული, უცხად აპელაციისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ხდებიან. ამ შეფასებას პირად საუბარში ძალიან ბევრი ჩემი კოლეგა იურისტი იზიარებს. პრობლემა ისაა, რომ ასეთი მოსამართლეები იურისტის პროფესიას ტოვებენ უფუნქციოდ. შემიძლია, გავიხსენო გადაწყვეტილებები, რომლებიც კარდინალურად ეწინააღმდეგება სამართლის პრინციპებს, რასაც წლების განმავლობაში უნივერსიტეტებში სწავლობენ იურისტები. ასეთი გადაწყვეტილებები მინიმალურ კრიტიკასაც კი ვერ უძლებს, განჭვრეტადობის ელემენტარულ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს. არადა, განჭვრეტადობა ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, სამართალი ყოველთვის ისეთი მარტივი არაა, როგორც ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ ორჯერ ორი არ შეიძლება იყოს ათი და ოთხის გარშემო უნდა იტრიალოს, თუ მათემატიკურად გადავთარგმნით. როცა მოსამართლის გადაწყვეტილებაში ორჯერ ორი ათია, ეს მთლიანად ანგრევს მატერიალურ სამართლებრივ სისტემას. გამოდის, რომ, როგორც იურისტმა, წლები აბსოლუტურად ტყუილად ისწავლე.

- კომპეტენციის პრობლემა მარტივად გადაჭრადია? შეიძლება, მთელი სისტემის რეფორმირების გარეშე მოგვარდეს?

- მოგვარების კუთხით აბსოლუტურად სხვადასხვაა. თუ, მაგალითად, კლანურობის აღმოფხვრას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება, კომპეტენციის კუთხით ძალიან დიდ სირთულესთან გვაქვს საქმე. დღევანდელი დღიდან რომ დავიწყოთ ამ პრობლემის მოგვარება, ალბათ, სულ მცირე, ათი წელი დაგვჭირდება.

ეს მხოლოდ მოსამართლეების გადამზადებას არ გულისხმობს, არამედ – მატერიალურ კანონმდებლობაში აუცილებელ ცვლილებებს, სასამართლოზე ასეთი დაწოლა რომ აღარ იყოს. საქმეები სასამართლომდეც უნდა გვარდებოდეს მედიაციით, არბიტრაჟით ან ე.წ. წინა სასამართლო მოსმენით. საქმე ის არის, რომ არსობრივად ვითარების შეცვლა არავის უნდა.

- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ უკეთესი გამოსავალია კომერციული პალატების შექმნა და არა მოსამართლეების ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრა?

- დიახ, გეთანხმებით, რომ ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრა თვისებრივად არ აგვარებს პრობლემას. გაცილებით უკეთესი იქნებოდა რეფორმის ფარგლებში კონკრეტული პალატების შექმნა. ასე ბევრად სტრუქტურირებული იქნებოდა. რაც შეეხება სპეციალიზაციას – რა თქმა უნდა, მჯერა, რომ ადამიანებს შეუძლიათ, კონკრეტული პროფესიები დროის მოკლე მონაკვეთში აითვისონ, მაგრამ, როცა მსხვილ საქმეებზე ვლაპარაკობთ, სხვა გარემოებებია გასათვალისწინებელი. მაგალითად, ზოგიერთი კორპორაციული დავა მოითხოვს არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთაშორისო ნორმების, სხვადასხვა ქვეყანაში ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკის ღრმა ცოდნას.

- ხელისუფლება საერთაშორისო რეიტინგებში კარგი პოზიციონირებით იწონებს თავს. როცა ინვესტორი აქაურ ბაზარზე აპირებს შემოსვლას და შესაბამის ბიზნესგეგმას წერს, ასეთ რეიტინგებს ეყრდნობა, თუ რაიმე სხვა წყაროებს?

- მოდი, ასე ვთქვათ: როცა ინვესტორს ერთ მხარეს ეს რეიტინგი უდევს, მეორე მხარეს კი - ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის, ამერიკის საელჩოს შეფასებაც კი, რომ სასამართლოში კლანი მოქმედებს, რეიტინგი მისთვის ფარატიანა ქაღალდად რჩება. არც ერთი ინვესტორი რამდენიმე მილიონიან პროექტს მხოლოდ რეიტინგის საფუძველზე არ განახორციელებს.

- უკვე მოქმედ ბიზნესოპერატორებთან რამდენად ხშირად გადიან კონსულტაციას? ეკითხებიან ხოლმე მას, ვისაც საქართველოში ბიზნესის კეთების გამოცდილება უკვე აქვს?

- ჩემი პირადი დაკვირვებით, საქართველოში, ძირითადად, მაღალრისკიანი თანხები მოდის, თანაც იმ ქვეყნებიდან, სადაც ქართული სასამართლოს პრობლემები ჩვეულებრივი ამბავია.

- რატომაა ეს ცუდი?

- იმიტომ, რომ ჩვენთან შემოდის სამართლებრივი კულტურა, რომელიც არ არის კავშირში დასავლურთან. თუ დაუუკვირდებით, დასავლური ინსტიტუციური ინვესტიციები ჩვენთან ძალიან ცოტაა. არიან პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, სადაც კორუფცია და კლანურობა უცხო არ არის, ორგანული ამბავია და, შესაძლოა, პირიქით, კარგადაც კი გრძნობენ თავს.

- პოლიტიკური კორუფცია იმასაც გულისხმობს, რომ ბიზნესი ეხმარება პოლიტიკურ აქტორებს საარჩევნო მიზნების მიღწევაში?

- საერთოდ, ყველაფერი ლოგიკის საფუძველზე მუშაობს. წარმოიდგინეთ, თქვენ ხართ ბიზნესმენი და გარკვეული თანხა პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გაქვთ გადახდილი მმართველი გუნდისთვის. ეს თქვენთვის ჩვეულებრივი ინვესტიციაა, რომლიდანაც უკუგებას ელით. უკუგება შეიძლება, ბევრნაირი იყოს. მაგალითად, რაც თვალსაჩინოა – ტენდერებში გამარჯვება. ესეც ერთ-ერთი უკუგებაა.

როცა პოლიტიკური კლასი რაღაცით დავალებულია, ინვესტორს, რომელიც სასამართლო დავას აპირებს, შეუძლია, მათთან მივიდეს და დახმარება სთხოვოს. ეს ხომ ლოგიკურად მოსალოდნელია – თუ პოლიტიკური კლასი ჩემგან მატერიალურად დავალებულია, მე მას უკუგებას მოვთხოვ.

- შეიძლება, ასე დავყოთ – მსხვილი ბიზნესი უფრო პოლიტიკური კორუფციისათვის არის მოწყვლადი, საშუალო და მცირე კი – უფრო ყოველდღიური, ბანალური კორუფციისთვის?

- რა თქმა უნდა. დიდი ბიზნესი უფრო მფარველობისკენაა მიდრეკილი, პატარა ბიზნესი სხვა გზით ცდილობს ფონს გასვლას.

- აქ დამკვიდრებული პრაქტიკით, არსებობენ სისხლის სამართლის ადვოკატები, რომლებიც პროკურატურასთან თანამშრომლობენ და საქმეების არაფორმალურად „დალაგება“ შეუძლიათ. ასეთი „დამლაგებელი“ ადვოკატები თქვენს სფეროშიც არიან?

- როცა მოსამართლეებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ადვოკატთა კორპუსი, რომლებიც არასამართლებრივი გზებით თანამშრომლობენ სისტემასთან.

- მათი ვინაობა ცნობილია დაინტერესებული მხარეებისთვის, ხომ?

- როცა არსებობს პასუხის გამცემი, იარსებებს ის, ვინც მას მიმართავს.

ინტერვიუ ჩაწერა ირაკლი აბსანძემ.